საქართველო

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყოველდღიური გაზეთი — შაბათი, 13 ენკენისთვე 1919 წ. № 198 — ფასი 3 მან.

ხელის მოწერა მიიღება მხოლოდ სამი თვით და ღირება 180 მან. თვეში მხოლოდ ქალაქში, 60 მან. ცალკე № 3 მან. განცხადების ფასი სტრიქონი პეტიტისა — 2 მ. 50 კ. ნისია განცხადებები 3 მ. სამგლოვიარო განცხადება თითოჯერ 60 მ. მისამართის გამოცვლა 10 მ. რედაქცია და კანტორა ღიაა დილის 9 საათ. ნაშ. 3 საათამდე.

მისამართი: თბილისი, სასახლის ქუჩა, № 5, ქართული ქარვასლა; ფოსტის ადრესი, თბილისი, ფოსტის ყუთი № 76; ტელეგრამის ადრესი: — თბილისი „საქართველო".

ტელეფონი № 15—73

მეუღლე მართა ტარიელოვისა, შვილი თამარა კოტეტიშვილისა ძმა შალვა კოტეტიშვილი შვილებით ალექსანდრეთი და ეთერათი აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ რომ გარდაიცვალა მათი საყვარელი და ძვირფასი

ზურაბ იოსების ძე ტარუაშვილი

2—179—2

კოოპერატივ „დახმარება"-ს წევრთა საყურადღებოთ

მიღებულია საუკეთესო კარტოფილი

იყიდება ორთავე განყოფილებაში

3—177—2

ყიდულობს, ჰყიდის იღებს ყველაფერს საკომისიოდ პროცენტებით და უპროცენტოდ აძლევს ავანსად მიღებულ საგნებში შემფასებელთ

თბილისშია პირველი ყველაფერი საკომისიო მაღაზია | მიხეილის პრ. № 142 კინო-პალასის პირდაპირ.

ნივთების მოტანა და შეფასება სრულიად უსასყიდლოდ. საჭიროა ტანისამოსი ფეხსაცმელები ფართლეულობა ჩულქები საცვლები ჭურჭელი ხალიჩები ავეჯეულობა. ძვირფასი საგნები.

ჩვენი დევიზი: ნდობის დამსახურება ჩვენს კლიენტებში. 10—8

ქართული კლუბი

კვირას, 14 სექტემბერს, 1919 წ., ქართული დრამატიული საზოგადოების სასარგებლოთ გაიმართება

დიდი სეირნობა

აუქციონი

ალეგრი

[illegible]

საზაფხულო თეატრში. დიდი კონცერტი მონაწ. ქ-ნი [illegible] ლი, დ. ზრავოლსკაია, ბ.ბ. ნიკოლსკი, ინაშვილი და აკოპაშვილი.

ბალეტი ქ. ბაუერ-ზაკსის მონაწილეობით.

დასასრულ ცეკვა და ვახშამი.

1—180—1

ექიმ ე. ჩიჯავაძის

ბაქტერიოლოგიური, სერო-დიაგნოსტიური და ქიმიურ-მიკროსკოპიური

ლაბორატორია

იღებს გამოსაკვლევად: სისხლს (Wassermann'-ის, Weinberg'-ის, Widal'-ის რეაქციები, სრული კლინიკური და ბაქტერიოლოგიური გამოკვლევა, მალარია, Obermeyr'-ის სპიროხეტები და სხვა). შარდს, განავალს, ნახველს, თესლს, თმას, რძეს, ლორწოს, ჩირქს, ხერხემლის ტვინის სითხეს, კუჭის სითხეს და სხვას. ამზადებს აუტოგენიურ ვაქცინას.

26 მაისის (ოლღას) ქუჩა, განაპირა შესახვევი № 3 მასალა მიიღება დილის 9—1 საათამდე და საღამოს 5—7 საათ. სამშაბ. ხუთშაბათი—შაბათი

15—26988—1

სახელმწიფო ენისათვის

ჩვენი სახელმწიფო ნაციონალური პრინციპით ხასიათდება უპირველესად ყოვლისა. ეროვნული თვისება მას თანდაყოლილი აქვს და მისი სახელმწიფოებრიობაც ამ გზით მიმდინარეობს, რაც გასაგებია და ბუნებრივი. საქართველოში ხელმწიფება ქართველ ერს აქვს მინიჭებული, რომლის ეროვნულ სახელმწიფოებრივ მიზნების აღსრულება დავალებული აქვს მართვა-გამგებლობის აპარატს. ჩვენს სახელმწიფოს საქართველოს უწოდებთ და, მაშასადამე, ქართველების ხელმწიფება რესპუბლიკის წესწყობილების ატრიბუტი უნდა იყოს.

დამოუკიდებლობის აქტის ერთ-ერთი მუხლი აცხადებს საქართველოში მოსახლე მცირე ერის უფლებების დაცვას და ეს ფაქტი უეჭველი მაჩვენებელია იმისა, რომ სახელმწიფოს პატრონობა ქართველ ერის ხელშია. ხელმწიფების მქონე ერი მხოლოდ ჰპირდება სხვა ერებს მათი უფლების დაცვას და მოუწოდებს მათ თანაბრად ემსახურონ სამშობლოს.

ასეთ პრინციპზეა აშენებული დღეს ყოველი კულტურული სახელმწიფო, ხოლო მდგომარეობა და უფლებანი სახელმწიფოში მობინადრე სხვა ერების განისაზღვრება სახელმწიფოს კონსტიტუციით, ამიტომ არის, რომ ზოგი სახელმწიფო მეტ უფლებებს აძლევს ერებს, ზოგან კი მათი უფლებანი შეზღუდულია გარკვეულ ნორმებით.

ორი აზრი შეუძლებელია ვიქონიოთ იმის შესახებ, თუ როგორ უნდა მოეწყოს საქართველოს სახელმწიფო მექანიზმი, რა შინაარსი და ელფერი უნდა ჰქონდეს მის მმართველობასა და გარეგან ფორმებს: თავდაპირველი საზრუნავი იმაშია, რომ ეროვნულ პრინციპზე დამყარებული ჩვენი რესპუბლიკა მთელი თავისი არსებით გამოხატავდეს სახელმწიფოს შემქმნელ ერის სულიერ-კულტურულ შემოქმედებას და ეს ყოვლის უწინარეს შესაძლებელი გახდება ქართული ენის სახელმწიფო სავალდებულო ენად გამოცხადებით და მისი პრაქტიკულ შედეგებით.

საქართველო საუკუნის განმავლობაში რუსეთის ზეგავლენის ქვეშ იყო. რუსულ ბატონობას სრულიად ბუნებრივად თან დაერთო რუსულ ენისა და კულტურის დამკვიდრება ჩვენში. დღეს, როცა დამოუკიდებელ საქართველოს წინაშე მრავალი სახელმწიფოებრივი პრობლემები წარმოიშვა და ქართველი ერი შეიქმნა კვლავ სახელმწიფოს მამოძრავებელ ფაქტორად, ასევე ბუნებრივია საწინააღმდეგო პროცესის მოხდენა უცხო კულტურის შემქმედების ჩამოშორებით და ნაციონალიზაციის ურყევ ნიადაგზე განმტკიცებით.

სახელმწიფო—საზოგადოებრივ, და ზოგიერთ შემთხვევაში, კერძო დაწესებულებებმა ნაციონალიზაციის დაუყოვნებლივი შემოღება მიუცილებელ საჭიროებად დაისახეს, სრულიად სამართლიანად დარწმუნებულნი მის კანონიერებასა და მიზანშეწონილებაში. ეს პროცესი გატარებულია მთელ საქართველოში უმტკივნეულოდ და სწრაფად მოხდა. გამონაკლისს დედა-ქალაქი თბილისი წარმოადგენს და გაუგებარ მოვლენას მოგვაგონებს უნდა. განა შესაწყნარებელია რომ სახელმწიფოს დამოუკიდებლობის გამოცხადების მეორე წელში სახელმწიფო დაწესებულებებში მიწერ-მოწერა უცხო სახელმწიფოს ენაზე ხდებოდეს?! საბედნიეროდ, ქართული ენა კულტურული, უმაღლეს ხარისხიან ენათა კატეგორიას ეკუთვნის და არ მოკლებულია არც შრიფტის [illegible] და არც სხვაგვარი გარდაქმნის: მაშ, რა გვიშლის ქართულ ენის პრაქტიკულად დაკანონებას სახელმწიფო დაწესებულებებში?! მხოლოდ რუტინა და, თუ გნებავთ, „კაპრიზიც"!

ნაციონალიზაციის საწინააღმდეგო „არგუმენტაცია" გვამცნობს თავის უსუსურობით: თბილისში ნაციონალიზაციას ებრძვიან ზოგიერთ წრეებში კიდევ იმ მოსაზრებით, რომ სხვა და სხვა ერებით და „შერეულ კულტურით" შემდგარ ქალაქში ასეთი ზომა შემავიწროებელი იქნებაო. ვისთვის? ცხადია, იმათთვის, ვისაც რუსული ენისა და კულტურის გარეშე არაფერი [illegible] არასდროს და ისიც კი ვერ შეუგნიათ აქამდის, რომ სახელმწიფოს პირველ ქალაქში ყველაზე უწინ სავალდებულოა სახელმწიფოებრივ პრინციპის დამკვიდრება.

აიღეთ, თუნდაც „წარწერების საკითხი", რომელსაც ქალაქის [illegible] სამართლიანად მიეხო და შესაფერ დადგენილებით მოითხოვა [illegible] ქართული ტექსტის შემოღება. ამ დადგენილებამ გამოიწვია გაზეთ „ვოზროჟდენიე"-ის უსაფუძვლო და ქარაფშუტული გამოხმაურება, რასაც დიდის სიამით ჯერ „ბორბა" აჰყვა და მერე „სლოვო". ორ უკანასკნელ გაზეთმა არ დაიყოვნეს „ვოზროჟდენიე"-ს საცოდავ შენიშვნის გადაბეჭდვა და თანაც დასძინეს, რომ ქალაქის თვითმართველობა უსათუოდ შესცვლის დადგენილებასო. რუსეთიდან გადმოხვეწილ უსაქმო [illegible] და სომხების აგენტებისათვის, მართლაც, მოულოდნელი „შერეულ-კულტურის" ქალაქში ქართულ ენის ჯეროვან ფარგლებში ჩაყენება, მაგრამ ამ ადამიანებს ავიწყდებათ [illegible] გარემოება — საქართველოს სახელმწიფოებრიობა, — რომლის [illegible] არიან წარსულ წესების შემნახველნი [illegible].

ქალაქის გამგეობის განკარგულება სახელმწიფოებრივ თვალსაზრისით სრულიად უნაკლო აქტად არის ჩასათვლელი და მისი გაუქმება შეუძლებლად მიგვაჩნია. უცხო სტუმრების და გარუსებულ ქართველების გემოვნებაზე ვერ მოვაწყობთ რესპუბლიკის ცხოვრებას.

დედა-ქალაქი ქართულ კულტურის დაფუძნებას ემსახურება. თბილისი არსებითად და ფორმითაც ქართულ სახელმწიფოებრიობის განსახიერება უნდა იქცეს და ამ საქმეში ხელისშემშლელნი არ უნდა გვეგულებოდეს.

მთავრობის წრეებში

6 ენკენისთვის სხდომა

დაესწრნენ: მთავრობის თავმჯდომარის მოადგილე ევგ. გეგეჭკორი; მინისტრი: ნ. ხომერიკი; დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის ამხანაგი: ე. თაყაიშვილი; მინისტრთა ამხანაგები: გედევანიშვილი, საბახტარაშვილი, ცინცაძე, აფხაზი. მომარაგების მთავარ სამართველოს თავმჯდომარე ი. ქარცივაძე, სახელმწიფო კონტროლიორის თანაშემწე ანდრონიკაშვილი; საქმეთა მართველი ქ. ჯაფარიძე; მდივანი: გვე[illegible].

თუთუნის გაზიდვაზე უარის თქმა

უარი ეთქვას საბერძნეთის ქვეშევრდომს ნეოფიტოსს საზღვარ გარედ 2 ათასი ფუთი თუთუნის ფოთლის გატანაზე.

მცხეთის მონასტრის მიწები

თანახმად 1917 წლ. 16 ქრისტეშობისთვის დეკრეტის 1. მუხლისა უარი ეთქვას მცხეთის სამთავრო მონასტრის იღუმენია ნინოს მონასტრისგან დუშეთში და ძეგვში ჩამორთმეულ მიწების დაბრუნებაზე. ამასთანავე მთავრობა აღასრულებს მიწად-მოქმედების მინისტრის განკარგულებას გორის ერობისადმი, მონასტრისთვის აღნიშნულ ადგილების შეღავათიან პირობებში იჯარით მიცემის შესახებ.

საქონლის გამცვლელ კომიტეტის გაუქმება.

გაუქმდეს საქონლის გამცვლელი კომიტეტი და მისი ფუნქციები გადაეცეს მომარაგების მთავარ სამმართველოს; მიენდოს კომისიას იუსტიციის მინისტრის თავმჯდომარეობით შეიმუშაოს შემდეგი სხდომისათვის (9 ენკენისთვის) დასკვნა: შესაძლოა თუ არა გაუქმებულ იქმნას საქონლის გამცვლელ კომიტეტის მიერ გაცემული ნებართვა-ხელშეკრულებანი.

შემწეობა რკინის გზის მოსამსახურეთა დაღუპულ ოჯახებს.

სპეციალურ ხელშეკრულების დადებამდე მეზობელ სახელმწიფოებთან, პრინციპიალურად აღიარებულ იქმნას რკინის გზის მოხელეთა (საქართველოს ქვეშევრდომთა) ოჯახების დახმარება იმ შემთხვევებში, როდესაც მოხელენი პირდაპირ საფრთხეზე წასულან და დაღუპულან საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებამდე, მოვალეობის ასრულების დროს, საქართველოს ტერიტორიის გარეშე.

დაევალოს გზათა მინისტრს წარმოადგინოს ამ პირთა სია ყოველ კერძო შემთხვევაში.

კანონ-პროექტი სანავთსადგურო გადასახადის შესახებ.

მოწონებულ იქმნას დამფუძნებელ კრებაში გადასაცემად მოხსენება და კანონ-პროექტი საპორტო გადასახადთა ახალი ნიხრების დაწესების შესახებ.

„დასამარხი შემწეობა".

გარდაცვლილებულ მოხელეთა „დასამარხი შემწეობა" გადიდებულ იქმნას მოხელის თვიური ჯამაგირის (ძირითადი და დამატებითი) ნორმამდე.

სამხედრო უწყების მუშა-მოსამსახურეთა ჯამაგირების ტარიფი.

დამტკიცებულ იქნას მიმდინარე წლის 1 აგვისტოდან ქვემო მოყვანილი ხელფასის ტარიფი დაქირავებულ მუშათა და მოსამსახურეთათვის, რომელნიც მუშაობენ სამხედრო სამინისტროს ყველა სამხედრო ნაწილებში, სამმართველოებში და სხვა და სხვა დაწესებულებებში, რომელზედაც არ ვრცელდება ლითონზე მომუშავეთა და მბეჭდავებთან დადებული ხელშეკრულებანი.

IV. **თბილისის არტილერიის მეარტელეები.**

1. პასუხისმგებელი მეარტელეები 1.200 მ. 2. საწყობის გამგე 1.350 მ., 3 დაქირავებული მოსამსახურენი, რომელთაც სურთ მიიღონ სურსათი ჯარის კაცის კერძის ზომით საინტენდანტო ფასებში იღებენ 100 მან. ნაკლებ ჯამაგირს.

თავისუფალი ბინები უწყებათათვის.

დაევალოს ფინანსთა მინისტრს ცნობაში მოიყვანოს არსებული თავისუფალი ბინები და გადასცეს შეკრებილი ცნობები საუწყებათაშორისო კომისიას, რომელიც განაწილებს ბინებს ყველა უწყებათა შორის.

უარის თქმა ავტომობილების გაზიდვაზე.

უარი ეთქვას სპარსეთის საკონსულოს ნაყიდ ავტომობილების საქართველოდან გატანის ნებართვაზე.

შავი ქვის გაზიდვა-გამზადების მონოპოლიის წესდების შედგენა.

დაევალოს კომისიას, რომელიც არჩეულია მთავრობის მიერ შავი-ქვის გაზიდვა-დამზადების მონოპოლიის წესდების შესადგენათ, დაუყოვნებლივ შეუდგეს ამ უკანასკნელის შემუშავებას.

მთავრობის წარმომადგენელი კახეთის რკინის გზის საზოგადო კრებაზე.

დაევალოს ფინანსთა მინისტრს დანიშნოს მთავრობის წარმომადგენელი კახეთის რკინის გზის აქციონერთა 8 სექტემბრის საერთო სხდომაზე.

ფულის გადადება ეკლესია-მონასტრების ქონების აღწერათ.

კვლავ გადაიდოს 20000 მან. ეკლესია-მონასტრების ქონების ადგილობრივად აღწერ კომისიის ხარჯების დასაფარავად.

აფხაზეთის ეკლესია

(რუსის ეპისკოპოსის განდევნის გამო).

მრავალ უხერხულებასთან ერთად აფხაზეთში დღემდის ეკლესიის საქმე ანორმალურ მდგომარეობას განიცდიდა. აფხაზეთის ოფიციალურ წარმომადგენლებმა ერთსულოვნად დაადგინეს აფხაზეთის საქართველოსთან შემოერთება და საერთო რესპუბლიკის შემადგენლობაში ჩაირიცხნენ; მიუხედავად ამისა დღემდის აფხაზეთის დედა-ქალაქის საკათედრო ტაძარში რუსის მღვდლები იყვნენ მხოლოდ. რუსულად წირვა-ლოცვა სწარმოებდა და მხოლოდ მოსკოვის პატრიარქს იხსენიებდენ ეკლესიებში, რუსის თვითმართველობას და მის უძლეველ მხედრობას პარაკლის და ლოცვა კურთხევას უგზავნიდენ. ეს გარემოება შეუფერებელი იყო იმ დადგენილების, რომელიც ხალხის წარმომადგენლებმა საქვეყნოთ განაცხადეს — საქართველოს დამოუკიდებლობის და მისი უფლების დაცვის. „ზედი არ გვეწვეოდა, რომ ეგ შემთხვევას ხელი არ შეეწყო", რომ იტყვიან რუსები, სწორედ ისე მოხდა საქმე. ამას წინათ ფრონტის დღეს დღესასწაულობდა აფხაზეთის მთავრობა. სადღესასწაულო წეს-რიგში ეკლესიაში პარაკლისის გადახდაც იყო, როცა ჯარი მიადგა სალოცავად ტაძარს, რუსის მღვდლებმა ეკლესიის კარები მიხურეს და უარი უთხრეს ტაძარში პარაკლისის შესრულებაზე. ამ უტიფარობამ და მთავრობის ძალაუფლების უპატივცემულობამ მოთმინებიდან გამოიყვანა აფხაზეთის მთავრობა დეკრეტით გამოაცხადა აფხაზეთში რუსის ეპისკოპოსობის გაუქმება. დიდი ნაწილი აფხაზეთის სამურზაყანო დიდი რაიონი თავის ნებით შეერთებულია ჭყონდიდის სამიტროპოლიტოსთან — ეხლა დანარჩენი ეკლესიებიც ჭყონდიდელს გადაეცა, ჯერჯერობით დროებით სამმართველოდ. ახლო მომავალში შეერთებული კრება მოხდება სამღვდელოების სამურზაყანოს და დანარჩენ აფხაზეთის ეკლესიების, რომელიც ცხუმის საკათედრო ეკლესიას აღადგენს და ორთავე ეკლესიების საჭყონდიდლოს და ცხუმის მიტროპოლიტი იქნება აფხაზეთში კარგად ცნობილი, აბხაზური, მეგრული და ქართული ენის კარგად მცოდნე ამბროსი ხელაია.

ლლოიდ-ჯორჯი ინგლისის ეკონომიურ მდგომარეობაზე

18 მარიამობისთვეს ლლოიდ-ჯორჯი მოხსენებით გამოვიდა თემთა პალატაში ინგლისის ეკონომიურ მდგომარეობის შესახებ. მოხსენების წინ ლლოიდ-ჯორჯმა სთხოვა პალატის წევრებს მისი მოხსენება მიუდგომლად მოესმინათ.

„ქვეყნიერებას ომი უღირდა 40 მილლიარდი გირვანქა სტერლინგი, რაც განსაკუთრებით რღვევა — დანგრევაზე დაიხარჯა.

შეუძლებელია, რომ ომის შემდეგ გამორკვეული ხარჯები მაშინვე შევამციროთ ომამდე.

საჭირო იყო დრო ქარხნებისა და სახელოსნოების საორგანიზაციოდ სანამ ისინი სამხედრო მატერიალს დაამუშავებდნენ. სწორედ ასევე საჭირო იქნება დრო, სანამ ქარხნებს ფაბრიკების საქმეს სწორ კალაპოტში ჩააყენებენ. უცხო სახელმწიფოებს მანუფაქტურის დიდძალი თადარიგი აქვთ და ეს ჩვენ გვაიძულებს საქონლის შემოზიდვა შევამციროთ.

სამხედრო, საზღვაო და საავიაციო სამსახურებში მყოფნი დათხოვნილნი არიან. ისინი, გარდა 350,000 კაცისა უკვე სამუშაოზე იმყოფებიან.

ჩვენი ეკონომიური მდგომარეობის დასახასიათებლად საჭიროა გავიგოთ სავაჭრო ბალანსის სამწუხარო მდგომარეობა.

ომამდე დიდ ბრიტანიას გაცხოველებული ვაჭრობა ჰქონდა უცხო ქვეყნებთან. წარმოების ყველა დარგში, გარდა მიწადმოქმედებისა, შენიშნულია საგრძნობი დაცემა. ნაკლებად მუშავდება, ბევრი იხარჯება.

ომამდე ინგლისი იძლეოდა 217 მილ. ტონს ყოველწლიურად. დღეს, მიუხედავად მუშა ხელის საკმაო რიცხვის ყოლისა მას 80 ტონით ნაკლები ექნება. ომამდე საქონლის შემოტანა სჭარბობდა გატანას 150 მილ. სტერლინგით ახლა გატანას იგი სჭარბობს 800 მილ. გირვანქა სტერლინგით ჩვენ დაღუპვისკენ დავექანებით თუ მდგომარეობა სასწრაფოდ არ შევცვალეთ.

ასეთი გარემოება ხელს უწყობს სურსათის არანორმალურად გაძვირებას და ქმნის არა სასურველ მომენტს, როცა ჩვენს ქვეყანას ადარებ სხვებთან, რომელთაც სურსათის საქმე უფრო კარგათ აქვთ მოწყობილი.

არავითარ საბაჟო პოლიტიკას ვერ ძალუძს ეს მდგომარეობა გამოასწოროს.

ძირეული მომენტი ეხლა — ჩვენი საქმეები ცუდათ არის, ჩვენი გატანა საკმაო არ არის და შემოტანის ღირებულებას ვერ ჰფარავს. ეს დაბლა სწევს ჩვენს კურს და, იქამდე, სანამ ჩვენს წარმოებას არ გავადიდებთ, მდგომარეობა მძიმე იქნება".

შემდეგ ლლოიდ ჯორჯი არ ჩხრეკს მიზეზებს, რომელთაც წარმოების შემცირება გამოიწვიეს.

„ყველა ჩივის, მაგრამ ეს გაივლის, მთელი ქვეყანა ნერვებ აშლილია. ჩვენ გვგონია, რომ სამუშაო საათების შემცირება, არ გამოიწვევს წარმოების შემცირებას. ჩვენი არ გამართლდა.

ეს ორი მომენტი ერთმანეთისთვის თითქმის პროპორციონალურია მუშაობის ნელი ტემპი ეხება არა მარტო მუშებს, არამედ მათ პატრონებსაც, მათ დირექტორებსაც. საჭიროა, რათა ყველა განიმსჭვალოს იმ აზრით, რომ ჩვენი ქვეყანა მოითხოვს ჩვენგან დიდ მუშაობას და გამოკვევას აპატიისგან, რომელმაც დასცა და დასწია წარმოება და საშიშარ საფრთხის წინაშე დააყენა. ერის ძირეული ინტერესები ქვეყანა უნდა გაეცნოს მუშათა მოთხოვნილებას, მეგობრულად და კეთილსინდისიერად. უკანასკნელ ორსა თუ სამ წელიწადში მუშებმა დიდი ხელფასი იშოვეს. მაგრამ უკანასკნელის შენარჩუნება შეუძლებელია თუ წარმოება არ განვითარდა.

ლლოიდ-ჯორჯი ცნობას იძლევა პალატის დაარსებაზე, რომელიც შესდგება მუშათა, მექარხნეთა და რწმუნებულთაგან და, რომელმაც შეთანხმება უნდა მოახდინოს ხელფასში და სამუშაო საათებში, კანონპროექტით საჭიროა კვირაში 48 სამუშაო საათი და ისეთი ხელფასის დამყარება რომლითაც ცხოვრება შესაძლებელი იქნება.

შეეხო რა საგარეო ვაჭრობას, ლლოიდ ჯორჯმა განაცხადა: „ის გარემოება, რომ ამერიკასთან გაცვლის გამო ფულის კურსი არასასურველია ინგლისისთვის აბრკოლებს საფაბრიკო ნაწარმოებთა შემოზიდვას.

ამისთვის, ჩვენ გადავწყვიტეთ 1-ლ ენკენისთვიდან საქონლის შემოზიდვის ყოველგვარი შეზღუდვა მოვსპოთ".

უკანასკნელი ცნობები

გენ. ფონ დერ ჰოლცის ჯარმა თავისი თავი გერმანიიდან დამოუკიდებლად გამოაცხა.

ავსტრიის ხელშეკრულების რატიფიკაციას ენკენისთვის დამლევს მოელიან.

კაუცკიმ ლუცერნის კონფერენციაზე განაცხადა, რომ საზავო ხელშეკრულების საიდუმლო მუხლის თანახმად გერმანიამ აღმოსავლეთში ჯარი უნდა იყოლიოსო.

რუმინიის მთავრობამ ტრანსილვანიაში სამხედრო წესები მოხსნა.

ამერიკაში შავკანიანთა და თეთრთა შეტაკებანი ხდება.

რუსი ოფიცრები რუმინეთიდან გამოაძევეს.

საბჭოთა ჯარმა სამხრეთით ვალუიკი დასტოვა, ხოლო სად. ვოროჟბა აიღო.

გენ. ერდელი საქართველოსა და აზერბაიჯანის შესახებ.

„რუსაგენ“-ის პიატიგორსკის კორესპონდენტის შეკითხვაზე საქართველო აზერბაიჯანისა და „დობრარმიის“ ურთიერთობის შესახებ გენ. ერდელმა განაცხადა:

„მე განსაკუთრებით აღვნიშნავ, რომ მოხალისეთა ჯარს არავითარი აგრესიული მიზნები საქართველო-აზერბაიჯანის მიმართ არა აქვს... ამ რესპუბლიკათა წინააღმდეგ სამხედრო მოქმედების დაწყებას მე ვთვლი შესაძლებლად მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ თვით ისინი შემოგვიტევენ. მთელ სამხრეთ საზღვარზე მე მხოლოდ საკონტროლო რაზმები მყავს და მათი საქმე მხოლოდ კონტრაბანდის დაჭერაა. საქართველოს საზღვარზე მართალია იყო ხანდისხან პატარა ინციდენტები როგორც მაგალითად ამ რამდენიმე ხნის წინად ჩვენ საზღვარზე გადმოვიდა ქართველთა ერთი ასეული. მე ვუბრძანე, რომ მათთვის ხელი არ ეხლოთ. ვინაიდან, რაც უფრო მეტს წამოიწევენ წინ მით უფრო გაუჭირდებათ უკან დაბრუნება.

„საბჭოთა მთავრობის ქრთამი ჩინეთს“

ამ სათაურით ჩვენ მიერ ეხლა მიღებულ „ტაიმსის“ მარიამობისთვის 7-ის ნომერში დაბეჭდილია საბჭოთა მთავრობის ოფიციოზში „იზვესტიაში“ მოთავსებული წერილიდან ამონაწერები. წერილი ეხება საბჭოთა პოლიტიკას შორეულ აღმოსავლეთში:

„ვერსალის ზავი ჩინეთს აიძულებს რომ ომი გამოაცხადოს, ჩინეთი ალბად საბჭოთა რუსეთთან შეკრავს ზავს, რომელიც მეტად მოსაწონად სთვლის ჩინეთის დელეგატების პროგრამას ზავო კონგრესზე.

საბჭოთა მთავრობა მზადაა ჩინეთს დაუთმოს აღმოსავლეთ ჩინეთის რკინის გზა და გადასინჯოს მასთან მონაწილეობით ის შეთანხმებანი, რომელსაც ჩინეთმა რუსეთის შიშით ხელი მოაწერა. (აღმოსავლეთ ჩინეთის რკინის გზა 1700 მილის სიგრძეა. იგი მანჯურიაში რუსეთმა გაიყვანა და ამით პეკინი ციმბირს დაუკავშირდა).

გაზეთი ურჩევს მთავრობას, რომ მან ყოველი ღონე იხმაროს რომ ჩინეთთან შეთანხმება მოხდეს.

ევროპა და რუსეთის საკითხი

საზღვარგარეთის პრესსა დიდის ყურადღებით შეხვდა ჩერჩილის სიტყვას ინგლისის პოლიტიკის შესახებ რუსეთში.

„ეხო დე-პარი“ სწერს: „ინგლისის მინისტრის სიტყვიდან ნათლად სჩანს ის მარცხი, რომელიც ინგლისს მოუვიდა რუსეთში“.

წერილის ავტორი ამ მარცხს აწერს მოკავშირეთა შორის რომ იყო ინტერესთა სხვა და სხვაობას და აღნიშნავს საფრანგეთის როლს ამ საკითხში.

„საფრანგეთი რუსეთის მევახშეა, რომელიც დაინტერესებულია მისი ფინანსიური და პოლიტიკური ძლიერებით, და, რომელსაც გულწრფელად სურს მისი ბოლშევიკებისაგან განთავისუფლება“.

გაზეთი რუსეთის შესახებ სწერს:

„რუსეთთან მეგობრობის შენახვა და მისი ძლიერების დაბრუნება მეტად მნიშვნელოვანი მოვლენა იქნება.

ინგლისის და ამერიკის კეთილდღეობა დამოკიდებულია არსებითად ზღვათა თავისუფლებაზე, იმ დროს, როდესაც საფრანგეთი, როგორც კონტინენტალური ქვეყანა, სრულებით კონტინენტის გარანტიაზე ჰკიდია; თუ იგი დაჰკარგავს ამ გარანტიას მაშინ იგი მთლიანად უნდა ანგლო საქსების ძლიერებას დაეყრდნოს, რაც ვასალურ სახეს მიიღებს“.

ჩერჩილის სიტყვას ეხება გაზეთი „ტანი“ც; მოჰყავს ის ადგილი, სადაც ჩერჩილი ლაპარაკობს „საბედისწერო შეცდომაზე“, თუ მოკავშირენი რუსეთის თავის ანაბარად მიატოვებენ და სწერს, რომ პირველი ასეთი შეცდომა იყო ინგლისელების მიერ არხანგელსკის დატოვება. „მისტერ ჩერჩილმა ეს ფაქტი არ უარჰყო. საკმარისია წავიკითხოთ სხვა ორატორები: სერ მაკლინის, კლაინსის და თვით ლორდ რობერტ სესილის სიტყვები, რომ გავიგოთ თუ რას დაემორჩილა ლლოიდ ჯორჯის კაბინეტი. ეს იყო შინაგან პოლიტიკის გავლენის ნაყოფი, მუშათა მასსების მოთხოვნილებანი და იმ ხალხთა დაჟინებით, რომელიც მათ სახელით ლაპარაკობს“.

რობერტ სესილის იმ წინადადებაზე, რომ მოკავშირეებს შეენარჩუნებინათ უფლება რუსეთში იმ პირობით დარჩენისა, რომ ბოლშევიკებისა წინააღმდეგ ებრძოლათ თუ ისინი არსებულ ფარგლებს გადმოლახავდნენ, გაზეთი „ტანი“ სწერს:

„მ—რ. ჩერჩილს ამ წინადადებაზე თავის აზრი არ გამოუთქვამს. უნდა ითქვას კი, რომ ამ წინადადების განხილვის შემდეგ ალბად მოხალისენი დარწმუნდებიან, რომ ეს ფაქტიურად შეუსრულებელი იქნება და რომ არც სამართლიანი იურიდიული თვალსაზრისით თუ მიუდგებით.

„ეს რუსეთის პატრიოტებს და ბოლშევიკებს ერთ სიმაღლეზე აყენებს. ეს იქნებოდა რუსეთის ბოლშევიკების წაქეზება ერთის მხრით და მეორეს მხრით ჩვენი მომხრე რუსების დაჩაგვრა.

ალბად ამ საკითხს მოკავშირენი არც კი განიხილავენ, ვინაიდგან შეერთებულ შტატებს, რომელსაც სჩანს, გადაუწყვეტიათ ძველებურად განაგრძონ თავის მოკავშირის დახმარება“.

ხონის ქალაქის გაუქმების გამო

(დეპეშა „საქართველოს“)

მრავალრიცხოვანი საზოგადოებამ განურჩევლად პარტიისა კრებაზე დაადგინა გაუქმდეს ქალაქი ხონი და გადაკეთდეს ერობის ერთეულად. თხოვნაზე ყველამ მოაწერა ხელი. რვა ენკენისთვეს დაატუსაღეს და გათენებისას ქუთაისში გაგზავნეს დელეგაცია მთავრობისადმი: ნაფიცი ვექილი ლუკა ბახტაძე, იასონ ჩხენკელი, გიორგი სანაძე, გერასიმე მელაძე, ანტონ, ევგენ და სილიბისტრო ბახტაძეები. ცხრას ჩამოვიდა ინსპექტორის თანაშემწე, ხალხმა მოითხოვა დაუყოვნებლივ განთავისუფლება დატუსაღებულთა და დატუსაღების მიზეზი. მღელვარების გამომწვევად აბრალებენ ჩვენს პარტიას.

ხონის ეროვნულ დემოკრატიულ პარტიის კომიტეტი.

სამაჰმადიანო საქართველოს კონფერენციის დადგენილების შესახებ

საქართველოს მთავრობამ მოისმინა ბათუმის ოლქის ქართველ მაჰმადიანთა წარმომადგენელთა კონფერენციის მიერ მიღებული რეზოლიუციები და დაადგინა:

1. ბათუმის ოლქის ქართველ მაჰმადიანთა წარმომადგენელთა ყრილობის მიერ მიღებული დადგენილება დადასტურებულ იქმნას.

2. 1919 წ. 1 ენკენისთვის დადგენილება მიღებულ იქმნას პრინციპიალურად და გადაეცეს დამფუძნებელ კრების საკონსტიტუციო კომისიას დაწვრილებით განსახილველად.

ქრონიკა

◆ **მატარებელზე თავდასხმა.** 12 ენკენისთვეს ბათომში მიმავალ სასწრაფო მატარებლისათვის ბოროტ განზრახვით ლიანდაგი აუყრიათ ქსანსა და კავთისხევის შუა. მატარებელი ჩავარდნილა. დამტვრეულია ორთქლმატარებელი და 3 ვაგონი. ამ დროს მატარებელს თავს დასხმიან 100 კაცი შეიარაღებული პირი და სასტიკი სროლა აუტეხნიათ, შეცვენილან მატარებელში და დაუძარცვავთ მგზავრები. დაჭრილ დახოცილთა რიცხვი გამოურკვეველია. თბილისიდან გაიგზავნა ჯავშნიანი და სანიტარული მატარებელი.

◆ სახელმწიფო უნივერსიტეტში წელს გარდა პირველ ორი კურსისა, იხსნება მე 3 კურსი აგრონომიულ განყოფილების, რომელიც სამეცნიერო ძალებით სრულიად უზრუნველყოფილია. თხოვნების მიღება გაგრძელდება 20 ენკენისთვემდე.

◆ **მინისტრის დასასვენებლად წასვლა.** იუსტიციის მინისტრი ე. გეგეჭკორი ორის კვირით დასასვენებლად გაემგზავრა. სამინისტროს მართვა ამ ხნის განმავლობაში დაევალა დეპარტამენტის დირექტორს ნ. ქიქოძეს.

◆ **დირექტორის დაბრუნება.** დაბრუნდა თბილისში და შეუდგა თავის თანამდებობის ასრულებას დასასვენებლად წასული იუსტიციის სამინისტროს კანცელარიის დირექტორი გ. ჟურდანია.

◆ **საგარეჯოს სამომრიგებლო ნაწილისათვის.** გაზეთებში მოთავსებულ ცნობების გამო, რომ საგარეჯოს მომრიგებელი მოსამართლე ჯერ არ შესდგომია მოვალეობის ასრულებას, სამინისტრომ შესაფერი შეკითხვა გაუგზავნა თბილისის მაზრის სამომრიგებლო ყრილობის თავმჯდომარეს წინადადებით, რათა ზემოხსენებული მომრიგებელი მოსამართლე დაუყოვნებლივ შეუდგეს თანამდებობის ასრულებას.

◆ **მთხოვნელთა მიღება სამინისტროში.** მთხოვნელების მიღება სამინისტროში სწარმოებს შუადღის 12 საათამდე. დეპარტამენტის დირექტორის მიერ ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკევობით, ხოლო კანცელარიის დირექტორის მიერ სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით.

თბილ. თვითმართველობა

◆ **სატრახტირო გადასახადის გაწერა.** ქალაქის გამგეობამ „დეზერტირების ბაზარზე“ სასადილოებს 52000 მანეთი გააწერა სატრახტირო გადასახადის სახით. განაწილება მათ შორის ამ გადასახადისა უკვე დამტკიცდა. ამ დღეებში შეუდგებიან გადასახადის აკრებას.

◆ **ღვინის განყოფილების გაუქმება.** 13 ივლისის კანონით ღვინის გადასახადის წარმოება 15 აგვისტოდან სააქციზო სამმართველოს გადაეცა და ამ საქმეს ქალაქი აღარ განაგებს. ამიტომ ქალაქის გამგეობამ დაადგინა: ღვინის განყოფილება დახურულად ჩაითვალოს.

◆ **შრომის ბირჟა.** ქალაქის გამგეობამ შრომის განყოფილების და შრომის ბირჟის დამოკიდებულების გაურკვევლობის შესახებ დაადგინა: შრომის ბირჟა დაუქვემდებარდეს შრომის განყოფილებას და ბირჟის ყოველივე ხარჯები გასწიოს შრომის მხოლოდ განყოფილების გამგის პანიევის საშუალებით.

◆ **მეცადინეობის საათები.** ქალაქის თვითმართველობაში და მის დაწესებულებებში მუშაობა სწარმოებს ზამთრობით დილის 9 საათიდან შუადღის 3 საათამდე.

სამთო სამმართველო

◆ **თუჯი.** ამ ჟამად თბილისში და საერთოდ სრულიად საქართველოში თუჯის დიდი სიმცირეა. ამერიკელ მაკიამ აცნობა სამთო სამმართველოს, რომ შესაძლოა ამერიკიდან ჩამოიზიდოს თუჯი, რომელიც ადგილობრივ ამერიკაში 1 ტონი (60 ფუთი) ეღირება 60 დოლლარი. რუსეთიდან თუჯის ჩამოზიდვის იმედი არ არის. თუ ასეთი მდგომარეობა გაგრძელდა, მთავრობა იძულებული იქნება შეუდგეს ჩათახის თუჯის მაღაროებში მუშაობის განახლებას. გამოანგარიშებულია, რომ ჩათახის მადნეულობა პირველ წელსვე მოიტანს 11 მილიონ მანეთის მოგებას, რაც სავსებით დაფარავს წინასწარ გაწეულ ხარჯებს. მაღაროს ასამუშავებლად საჭიროა 3 მილიონი მანეთი. წელიწადში შესაძლებელია 220,000 ფუთი თუჯის დამუშავება. გეოლოგიური გამოკვლევით, ჩათახის თუჯი საქართველოს ათი წლის განმავლობაში ეყოფა.

◆ **კანონ-პროექტი წყლის ძალთა გამოყენების შესახებ.** მიწათ-მოქმედების სამინისტრო ამ ჟამათ ამუშავებს კანონ პროექტს წყლის ძალთა გამოყენებლათ ამხანაგობათა შედგენის შესახებ. კანონ პროექტის ძალით უნდა შედგეს ამხანაგობები მდინარეების ნაპირების გასამაგრებლად, და ჭაობიანი ადგილების გაშრობათ. ასეთი ამხანაგობაში შევლენ მდინარის ნაპირზე მდებარე ადგილების პატრონები.

წყალთა სამმართველო

◆ **დიღმის არხი.** [illegible] სამმართველომ [illegible] სცემს პროექტს დიღომის მოსარწყავათ მდ. არაგვიდან არხის გაყვანის შესახებ. პროექტის განხორციელებას დასჭირდება 6.739,000 მან., მოირწყვება 1,600 დესეტინა მიწა. ამას გარდა მოეწყობა 180 ცხენის ძალის ჰიდრო ელექტრონის სადგური წყლის გადასაქაჩავად.

რკინის გზაზე

◆ თბილისიდან ბაქოში გაიგზავნა ორი ორთქლმავალი ფქვილით დატვირთულ ვაგონების წამოსაღებად.

◆ 9 სექტემბერს ფოთში ჩამოვიდა გერმანიის გემი „ედუარდი“ მიწის სამუშაო იარაღით საქართველოს მთავრობის სახელზე.

◆ სექტემბერს ფოთიდან გამოიტანეს სხვა და სხვა საქონელი საქართველოს მთავრობის სახელზე.

◆ 10 სექტემბერს ბათუმში გაემგზავრა საბერძნეთის მისია.

სხვადასხვა ამბები

◆ **საქონელი სტუდენტებისათვის.** მიწად მოქმედების მინისტრმა ნება დართო სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა კავშირის გამგეობას მიიღოს მომარაგების კომიტეტის საწყობიდან, დაკლებულ ფასებში სხ. და სხ. საქონელი სასადილოსა და კოოპერატივისათვის.

სამხატვრო ქრონიკა

კონსტანტინე რატიშვილმა დასწერა დრამა 4 მოქ. და 5 სურათად. „ოქროს კერიანი“.

კაპელას მოგზაურობა. ქართულ „კაპელამ“ უკვე დაამთავრა თავისი საკონცერტო ტური. 7, 8 და 9 სექტემბერს გამართა სამი კონცერტი ფრონტზე ახალ და ძველ გაგრაში. კოოპერატივთა კავშირს და ქართულ სამუსიკო საზოგადოებას ამაყად შეუძლიათ სთქვან, რომ მათ ჩაუყარეს საფუძველი დიდ კულტურულ საქმეს. ახალგაზრდა „კაპელამ“ მსახიობისთვის ძვირფასი საჩუქარი—გულითადი მადლობა მიიღო აღფრთოვანებულ მსმენელებისგან. კონცერტებს წინ უძღოდა [illegible] წარმომადგენლის ვლადიმერ ემუხვარის სიტყვა. გაგრის ფრონტის ჯარი მადლობას უძღვნის „კაპელას“.

გენერალი ჯიჯიხია

პროვინციის ცხოვრება

ს. ჭერი

ს. ჭერში (ბესდარ[illegible]ების საზოგადოება) შარა გზაზედ ჩასაფრდნენ 4 შეიარაღებული ბოროტ გამზრახველნი, და მთელი დღის განმავლობაში ძარცვავდნენ გამვლელ გამომვლელთ. შემთხვევით ამ გზაზე გაიარა ვიღაც ოთუმავამ, რომელმაც წინააღმდეგობა გაუწია ყაჩაღებს რისთვისაც უკანასკნელებმა დასჭრეს იგი ცენტოვკის ტყვიით.

ს. ტყვარჩელი (ოჩამჩირის ოლქი).

ტყვარჩელის საზოგადოებაში თარეშობს ყაჩაღთა ბრბო ავაზაკ მაქაცარიას მეთაურობით. ხსენებული ბრბო თავს დაესხა ტყვარჩელის გოგირდიან აბანოზე სამკურნალოდ მყოფ ავადმყოფებს და თითქმის ყველანი გაძარცვეს და გააშიშვლეს. წაიღეს ფული, ტანისამოსი და სხვადასხვა ნივთები [illegible] ათას მან. ყაჩაღთა ბრბოს დაედევნა შეიარაღებული ადგილობრივი საზოგადოება, მაგრამ ვერ დაიჭირეს.

ბათომი

სიკვდილით დასჯა.

ენკენისთვის 2-ს დილის 7 საათზე, აზიზიეს მოედანზე ინგლისის სამხედრო სასამართლოს გადაწყვეტილებით საქვეყნოდ დახვრიტეს კოწია ნიჟარაძე—აგენტის მანერვერიანცის მოკვლისათვის.

ინგლისური მატარებლები.

ინგლისელების ევაკუაციის გამო 9 ენკენისთვემდე ბაქოდან ბათუმში ჩავიდა სულ 13 მატარებელი—ნავთლუღიდან 14. თბილისიდან [illegible] მატარებელი სომხეთიდან 1. სულ 40 მატარებელი.

ბირჟა.

ენკენისთვის 4-ს ინგლისური გირვანქა 420 მ. (ქაღალდის და 500 მან. (ოქროსი) დოლარი—88 მ. 25 დრახმიანი ბილეთები—410 მ., იტალიური ლირა—11 მ. 50 კ. ფრანგული ფრანკი—16 მ.; ოსმალური ქაღალდის ლირა 116 მ. ოქროსი 418 მ.; გერმანიის მარკები—6 მ. 25 კ.; ნიკოლოზის 500 მან—1200 მ. დონის ფული 3 პროცენტის დამატებით გადის.

მატყლის წარმოება ჩვენში

საქართველოს ნაწარმოებთა შორის მატყლს და მეცხვარეობას თვალსაჩინო ადგილი უჭირავს. ომთა შუა რიცხვით ომის წინა წლებში, ე. ი. ნორმალ პირობებში ჩვენში მოდიოდა წლიურად 200.000 ფუთი მატყლი. აქედან უცხოეთში გაჰქონდათ დაახლოვებით 140.000 ფუთი მატყლი, ზოგი რუსეთში და ზოგი დასავლეთისაკენ. ჩვენში რჩებოდა თითქმის 60.000 ფუთი შინა საქსოვ წარმოებაში და სამუშავებლად, რომელიც იძლეოდა შედარებით მდარე ნაქსოვს და ვერ უწევდა კონკურენციას რუსეთში ჩვენგან გატანილს და იქაურ ქარხნებში ნაქსოვებათ [illegible] დამუშავებულ ჩვენს მატყლს, უკვე შალების თოფებად აქ დაბრუნებულს. მაგ. ლოძის ქარხანაში დამუშავებული ჩვენი მატყლი იყო უფრო მჭიდრო ნაქსოვი, უკეთესი ხარისხისა და 2 არშინი განით და ღირდა 1 მ. 20 კ.,—1 მ. 40 კ. არშინი. აქ დამზადებული შალი, კი 14—15 გოჯი—განიანი იყო და არშინი ღირდა 80 კაპ.—1 მან. გასაკვირველია, რომ მყიდველი უფრო რუსეთში დამზადებულ შალს მიეტანებოდა. ჩვენი შინა მრეწველობა ამით გაჩანაგდა. სამაგიეროდ ომმა და რევოლუციის წლებმა ჩვენს წარმოებას კონკურენტი ჩამოაცილა და მას ამიერ-კავკასიაში მეტი გასავალი მიეცა. თბილისში დაარსდა განსაკუთრებული სანიმუშო შალეულობის ქარხანა, რომელიც სრულიად ვერ აკმაყოფილებს მოთხოვნილებას თავისი მცირე წარმოების გამო. ეს ახლაც ასეა. მაგრამ ეს ცხადია, ასე ვერ დარჩება შემდეგშიც ჩვენმა ეკონომიურ პოლიტიკამ განსაკუთრებით სერიოზული ყურადღება უნდა მიაქციოს სართავ-საქსოვ მრეწველობის (მატყლი, პარკი, ბამბა) განვითარებას ჩვენში, რადგან მას შეუძლია არა მარტო შემოსოს მთელი ჩვენი ხალხი, არამედ კიდეც გახდეს მახლობელ ქვეყნებში ექსპორტის საგანად. ავიღოთ მატყლი. ერთი გირვანქა სუფთა მატყლი იძლევა სამ-მეოთხედს გირვანქა ძაფს, რომელიც ქსოვს ერთ არშინ შალს. ასი ფუთი ძაფი იძლევა 5 ათას არშინ შალს. მაშასადამე 200,000×40×სამი მეოთხედი=6 მილიონი გირვანქა ძაფს ე. ი. 6000,000:40=150000 ფუთს ძაფს. აქედან ცხადია 150,000:100×5,000=7,500,000 არშინ შალს. მატყლის მთელი საშუალო მოსავალი საქართველოს მისცემს შვიდ მილიონს და ხუთასი-ათას არშინ შალს. ეს იმ პირობაში თუ მატყლი იმ საშინაო წესით დავამუშავეთ და ძაფი ისეთი უხეში დავსტოვეთ, როგორც აქამდე იყო ხონსა და თბილისში. თუ ჩვენს მატყლს (კოტა ბამბა გაურიეთ, ძაფის სისხო გავანაწევრეთ და ის სრულიად გავასუფთავეთ ე. ი. ვიხმარეთ ტექსტილურ მრეწველობის ტეხნიკის უკანასკნელი მანქანები ნაქსოვის რაოდენობა სულ მცირე ერთიორად გაიზრდება. მოწყობა შალის ქარხნისა არც ისე ძნელია, რომ იგი ჩვენთვის არსებულ პირობებში შეუძლებლად დავსახოთ. უწინარეს ყოვლისა საჭიროა მატყლის სარეცხი განყოფილება, რომლის უქონლობის გამო ჩვენი მატყლი მიჰქონდათ ხარკოვში გასარეცხად და თითო გარეცხილ ფუთ მატყლში 2 მან. 50 კ. იხდიდენ. ეგ განყოფილება უნდა მოეწყოს მტკვრის ნაპირას, გარეცხვისა და ხარისხებათ დაწყობილ მატყლს სამართავო განყოფილებით. აქვე უნდა იყოს მატყლის ორთქლით საშრობი მოწყობილებაც. ყველა განყოფილებანი და მოწყობილებანი უსათუოდ წყლის პირად უნდა იყოს. თავიდ დამოუკიდებლივ შეიძლება აშენდეს ქალაქ-გარეთ სართავ საქსოვი ქარხანა. უკანასკნელის სართავი განყოფილებისათვის საჭიროა საჩეჩი და მთელი—სასთავი მანქანები მაგ. ვოტერისა და სელფაქტორის ტიპებისა. ძაფები უნდა ირთვებოდეს ყოველნაირი როგორც მსხვილი ისე წვრილიც. შემდეგ უნდა დაიდგას საქსოვი მანქანები და გამომყვანი (appreture) აქვე უნდა იქნეს სამღებრო განყოფილებაც. საშუალო ძალის ასეთი ქარხნის ამუშავება მოითხოვს დაახლოვებით 5—6 მოტორს თითოს 400 ცხენის ძალისას სულ ქარხანას დასჭირდება მარაგი ძალით 2.400 ცხენის ძალა. ამგვარათ მოწყობილი ქარხანა წლიურად 75—80 ათას ფუთ წმინდა მატყლს დაამუშავებს და სამი მილიონ არშინ შალს გამოიყვანს, რაც საქართველოს მატყლის საშუალო მოსავალთან შედარებით მინიმალურით უნდა ჩაითვალოს.

ვინ უნდა იკისროს ეს საქმე?

თქმა არ უნდა, რომ ჩვენი მთავრობის ეკონომიური პოლიტიკა, თუ ის სერიოზულათ და სისტემატიურათ, წლობითი მიზან შეწონილ მუშაობის გეგმაზე იქნება აგებული და არა მარტო რევოლუციურ ქარიშხალის აფორიაქების შედეგი იქნება, ბოლოს და ბოლოს მრეწველობის განვითარებას დაისახავს მიზნათ და ენერგიულ ზომებს მიმართ ამ მიზნის მისაღწევათ. ამ მხრივ ჩვენში მეჯოგეობის, განსაკუთრებით მეცხვარეობის განვითარება, ჩვენი ცხვრის ჯიშის შერჩევა და გაუმჯობესება, ცდა ჩვენში მერინოსების ჯიშის შემოყვანისა და ზოგ კუთხეებში მაინც გავრცელებისა, ყოველ შემთხვევაში გამოყენება ყარსის სომხების მეტ ნაცად საშუალებისა. მატყლის გაუმჯობესებისათვის ინგლისის ჯიშის ცხვრის მოშენება, რომლის ბუმბული საუკეთესო მატყლი უფრო ძვირფასი და სასარგებლოა,—მთავრობის ეკონომიური პოლიტიკის საქმეა თუ მერინოსის ჯიშის შემოყვანას ცდა სჭირდება და მისალოდნელია მისი აკლიმატიზაციით ცოტათი შეცვლა, ანგორის თხათ გამრავლება და გამძლეობა ჩვენში უკვე დამტკიცებულია გამოცდილებით. ამის გარდა განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს საძოვრების დაცვას. საძოვრების საკითხი კარდინალური საკითხია, როგორც სასოფლო მეურნეობისათვის, ისე მრეწველობისათვისაც. მატყლის დამზადება, გაკრეჭა, გარეცხვა, შეხახვა, ცხვრის ფარის მოვლა,—ყველა ეს საკითხები სრულიად უყურადღებოთ არის დატოვილი, არავითარი ინსტრუქტორთა მუშაობა ამ დარგში არ სწარმოებს. მდგომარეობა კი ისეთია, რომ მასთან გაცნობაც ბევრს ახალ ახალ პრობლემებს წარმოშობდა სალ, საქმისადმი ნამდვილი სიყვარულით განწყობილ ეკონომიურ პოლიტიკისათვის. ამისათვის მიუცილებელი საჭიროა ჩვენი მეცხვარეთა ყრილობის მოწვევა და მოწყობა. ეგ მიუცილებლათ უნდა მოხდეს ამ მოკლე ხანში, თუ გვსურს საქმის გამოკეთება და სახალხო მეურნეობის ამ დარგისათვის ხელის შეწყობა.

მაგრამ მხოლოდ მთავრობის მზრუნველობა არ კმარა. საზოგადოება თვითონ უნდა აძრავდეს და გამოიჩინოს ძლიერი თაოსნობა, რომელიც ყველაფრის გადამწყვეტი და მომგვარებელია. თუ ჩვენი მწარმოებელი წრეები სერიოზულათ დაინტერესდებიან საკითხითა და ამ თავითვე შეუდგებიან მოიზადებითი მუშაობას ჩვენი მატყლის დამუშავებისათვის, თუ შეიკრება ერთგვარი კავშირი მეცხვარეთა შორის და შედგება ერთი წრე მატყლის დამუშავებისათვის და ეცდება, ეხლავე მუშაობას დაიწყებს რომ ნელ-ნელა, თანდათანობით შეიძინოს საჭირო სამკაულები მატყლის სარეცხი, შემდეგ სასთავი და ბოლოს საქსოვი მანქანებიც—მაშინ დიდად საქმეს საიმედო საძირკველი ექნება ჩაყრილი. მოწყობა, თვით დაწყებაც კი ამ საქმისა, რომელიც ეხლანდელ პირობებში რამდენიმე მილიონებს მოითხოვს, შეუძლია მხოლოდ კოლექტიურ ნიადაგზე დამყარებულ კომერციულ დაწესებულებას. აქაც, მაშასადამე, ისე როგორც ჩვენს ვაჭრობაში უცხოეთთან, საჭიროა; ფრიად საშური მწარმოებელთა შეერთება დიდ ამხანაგობაში, კაპიტალის ცენტრალიზაცია. ასეთი ორგანიზაციები, საქციო საზოგადოების დაარსების სახით აღმოსავლეთ საქართველოში ჯერ-ხნობით მხოლოდ ღვინის წარმოებაში მიეწყო. მაგ. დიდი ხანი არ არის, რომ მოეწყო სახ. „კახური ღვინო“. ამ საზოგადოებას უსათუოდ კარგი მომავალი ექნება, თუ საქმეს სიყვარულით და ბეჯითად წაუძღვებიან.

დროა სხვა დარგებშიც მოეწყოს ასეთი საზოგადოებები.

არ შეიძლება სიჩუმით ჩავუაროთ, რომ ჩვენი ვაჭრობა მრეწველობის პალატა ასე ცოტა ინტერესს იჩენს იმ საქმეებისადმი, რომელიც მის პირდაპირ მოვალეობას შეადგენს.

ტიტე მარგველაშვილი.

აზერბაიჯანი

„ჯოჯოხეთის" მანქანის აფეთქება.

ენკენისთვის 10 ს., დილის 7 საათზე, შტაბ როტმისტრ. შენდებერის ბინაზე აფეთქდა „ჯოჯოხეთის მანქანა".

როტ. შენდებერისთვის (მოხალისეთა ჯარის წარმომადგენელი ბაქოში), მანქანა დაედგათ ღამის 3 საათზე ვიღაც უცნობ პირებს. თვით ბინის პატრონი თავის ცოლით მოშორებით ოთახში ყოფილა და არ დაზიანებულა. ხოლო ძისი ქალი კი მხოლოდ შემთხვევით გადარჩენილა. ეჭვით დაპატიმრეს [illegible].

600.000 მანეთის გატაცება.

ამის 11 საათზე აქ მიქელიანის ქუჩაში შეიარაღებულმა კაცმა ბინაზე გაძარცვა, ფულად წაიღო 300 000 მანეთი და ამდენივე ღირებულების ნივთები.

პოლონეთში

(ბოლშევიკების ცნობით)

პოლონეთის მთავრობა შეპირდა მუშათა და მიწის საკითხების მოწესრიგება, მაგრამ ბურჟუაზიულ მთავრობას არ სურს ეს დაპირებანი აასრულოს და ამავ დროს მუშათა და გლეხთა პროტესტების ეშინია. ამის გამო მთავრობას უხდება რყევა დაიწყოს აუცილებლობის წინაშე. ბოლშევიკური გავლენა მუშებზე იზრდება. პოლონეთის მთავრობას უხდება ებრაელთა საკითხის განხილვის დროს [illegible] დაიწყოს. სიმშვიდისთვის [illegible] ანტაგონიზმა უკიდურეს წერტილამდის მიაღწია. პოლონეთში ანტისემიტიზმი მეტად გაძლიერდა, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც პოლონეთში გაუშვეს გერმანელებმა გენ. ჰალლერის კორპუსი. ეს კორპუსი ცნობილია თავისი ცუდი შემადგენლობით, რომლებიც ყველა შემოვლა პოლონეთში უწესოებით და ძარცვა-გლეჯით აღნიშნეს. ამ ჯარს მთავრობა ეხლა ხმარობს მუშათა მოძრაობის და ებრაულ ნიადაგზე მოძრაობის ჩასაქრობად. პოლონეთიდან მიღებული გაზეთები აღწერენ, რომ პოლონეთში გლეხები ხშირათ იფიცებიან და რომ გაფიცვებს ხშირათ ძალით აქრობენ. ახალ წესწყობილების შემოღების შემდეგ პოლონეთში ძლიერ გავრცელებულია მექრთამეობა და ყოველგვარი ბოროტმოქმედობა სამსახურის ასრულების დროს.

მოსკოვი. პოლონეთის სეიმი ორგვარ ფრთხილ პოლიტიკას ადგია. იქ 3—4 აპრილს კამათი იყო ჩიჩერინის ნოტის გამო. დაბეჯითით მიღებულ იქნა დადგენილება, სადაც ხაზგასმულია, რომ პოლონეთი დაპყრობით პოლიტიკას არ აწარმოებს და სამხედრო მოქმედება ამა თუ იმ ოლქის დასაპყრობათ არ არის მიმართული. მაგრამ ის სილეზიის და აღმოსავლეთ გალიციის მიმართ აგრესიულ პოლიტიკას აწარმოებს და საბჭოთა რუსეთს ებრძვის. პოლონეთის და გერმანიის დამოკიდებულება გამწვავებული ხასიათისაა. სადაო საკითხია სილეზია, რომელიც ხელშეკრულების თანახმად პოლონეთის პროვინციად უნდა გახდეს, მაგრამ ის თავის თავს გერმანიის პროვინციად უწოდებს. ეხლა პოლონელებს და გერმანელებს შორის ბრძოლაა. ნოემბრის მოსული ცნობით პოლონეთი ვალდებულია რუსეთის ვალის ანგარიშში საფრანგეთს გადაუხადოს მილიარდი ფრანკი. პოლონეთი დენიკინს და კოლჩაკს თანაგრძნობით უყურებს, მაგრამ უფრო დემოკრატიული ნაწილს რუსეთის რეაქციის ეშინია, რადგან მას შეუძლია რუსეთში მეფობა აღადგინოს და შემდეგ კი პოლონეთს დაიპყრობს. 12 ივნისს მოსული ცნობით, პოლონეთის ყოფილ სამეფოში 314,000 უმუშევარია. პოლონეთის შინაური მდგომარეობა კრიტიკულია. დომბროვის რაიონში გამოსვლები გახშირდა, გამოსვლები ეკონომიური ხასიათისაა, მაგრამ ტერორისტული აქტებსაც ადგილი აქვს. ვარშავაში 10,000 მუშა და 10 ქარხანა გაიფიცა. გაფიცულები ხელფასის მომატებას და საბჭოთა მთავრობის აღიარებას მოითხოვენ. მიუხედავათ იმისა, რომ სეიმმა აგრარული საკითხი უკვე გადასწყვიტა, სოფლებში სიწყნარე მაინც არ ჩამოვარდა. შინაურ პოლიტიკაში ბატონობა ჰალერის კორპუს ეყრდნობა. უმუშევრობა გაძლიერებულია. საზოგადოებრივი საქმე ცოტა უმუშევარს აძლევს ადგილს. ქვეყნის მდგომარეობა თანდათან ძნელდება, შინაურ უთანხმოებისა და რევოლუციონურ ბრძოლის გამო. თვით პოლონეთში რევოლუციონური მოძრაობის ჩაქრობა შეუძლებელი შეიქნა. ეს უთუოდ პროლეტარიატის დიქტატურას გამოიწვევს.

ამერიკის ჯარის გაყვანის შესახებ

ვაშინგტონში ლონდონის იდეა კავკასიაში ამერიკის ჯარის გაგზავნის შესახებ არავითარ თანაგრძნობას არ [illegible] ს. კონგრესი და პრესა [illegible] მთავრობას, რომ [illegible] გზას ახლო აღმოსავლეთის საკითხებში ნუ [illegible]. პრესა პირიქით მოითხოვს, რომ ამერიკის ჯარი ევროპიდან და სხვა ქვეყნებიდან რაც შეიძლება ჩქარა დაბრუნდეს სამშობლოში.

რუსთა პოლიტიკურ თათბირის დათხოვა

როგორც გაზეთი „მატენ"-ი იუწყება, რუსთა პოლიტიკური თათბირი, რომელიც პარიზში იყო შემდგარი, ადმირალ კოლჩაკმა დაითხოვა. მის მაგიერ რუსეთის ოფიციალურ წარმომადგენლად დანიშნულია საზონოვი.

გერმანელები ლიფლანდიას სტოვებენ

„ტაიმსის" 7 მარიამობისთვის ნომერში მოთავსებულია კოპენჰაგენიდან გამოგზავნილი შემდეგი ცნობა:

„კოპენჰაგენი მარიამობისთვის 5. ლატვიელთა საინფორმაციო ბიურომ გამოაქვეყნა რიგიდან მოსული დეპეშა, რომელიც იუწყება: გენ. [illegible] მინისტრ მ. ულმანს ატყობინებს, რომ გერმანიის ჯარის სამშობლოში დაბრუნება სისტემატიურად იწარმოება და მომავალში უფრო დაჩქარდება.

მოკავშირეთა უმაღლეს საბჭოს მოითხოვა, რომ გერმანელებმა მატარებლები ლიფლანდიაში დასტოვონ, რადგან ისინი ხელშეკრულებით, იგი მოკავშირეთა ხელში უნდა გადავიდეს.

იაპონიის და ჩინეთის შეთანხმება

ლონდონიდან 2 ენკენისთვის თარიღით „[illegible]"-ის აუწყებენ;

ბარონ უჩიდამ, იაპონიის საგარეო საქმეთა მინისტრმა, განაცხადა, რომ იაპონიის მთავრობამ გადასწყვიტა, პარლამენტის მიერ ვერსალის ზავის რატიფიკაციის შემდეგ, კიაო-ჩაოს მთელი ტერიტორია ჩინეთს გადასცეს. ამის გარდა, იაპონია მზადაა იცნოს ჩინეთის უფლებანი შანდუნში.

ჩინეთის დელეგაციის განცხადება

ლონდონიდან იუწყებიან, რომ ჩინეთის დელეგაციის თავჯდომარემ შენტ ნომმა განაცხადა საზავო კონფერენციაზე, რომ ჩინეთი იმუშავებს ისეთ დემოკრატიულ სახელმწიფოებთან, როგორიც ამერიკა, ინგლისი და საფრანგეთია.

ჩინეთის მართვა გამგეობა იმავე პრინციპებს დაეყრდნობა, რასაც ეყრდნობა ეს ქვეყნები. მასში შეიქნება დემოკრატიული დაწესებულებანი. ჩვენ [illegible], რომელიც ამ გზაზე შეგვხვდებიან [illegible] და იმედი მაქვს, რომ ის სახელმწიფონი, რომელნიც მე მოვიხსენიე, ამ გზის [illegible] დაგვეხმარებიან.

მოხალისეთა აგიტაცია საბჭოთა ჯარში

როგორც ოდესიდან ჩანს, რუსეთის ორივე ძალა — მოხალისეები და ბოლშევიკები [illegible] მოწინააღმდეგის ჯარში აგიტაცია მოახდინონ. ამ მხრივ მათი ძალები უნაყოფო არ არის. [illegible] მოხალისეებს ამ ბოლო ხანებში ერთი ხერხი [illegible]. როგორც ვიცით, მთელ მოხალისეთა სამფლობელოში საბჭოთა ფულის ტირაჟი გაუქმებულია. მოხალისეებს დაუგროვებიათ საბჭოთა გაუქმებული ფული და ავრცელებენ [illegible]. ბოლშევიკების თუმნიანებზე ერთი მხარეზე დაბეჭდილია: „კომისრებმა მოგვატყუეს. ფულები ბოლომდე გვეძლიეს, ეხლა მათი ფული არაფერ ღირს, იმით კაცი ძაღლსაც კი ვერ შეუგდებს", მეორე მხარეზე დაბეჭდილია: „საბჭოთა ფული, როგორც ყველაფერი, რაც კომისრებმა შექმნილია, მოტყუებაა. კარგ ფულს ისინი თვისთვის იტოვებენ და ცუდს კი თქვენ გაძლევენ".

გენ. ფონ-დერ-გოლცის ჯარი

(ბოლშევიკების რადიო)

ჰელსინგფორსი, ენკ. 9. გაზ. „სვობოდნაია როსია"-ში გამოქვეყნებულია გუჩკოვის განცხადებები (რომელიც ამ ბოლო დროს რეველში და რიგაში იმყოფებოდა), პრიბალტიის მხრის მდგომარეობის შესახებ. გოლცის გერმანული რაზმები გადაიქცა კონდოტიერთა ჯგუფებად, რომელთაც არ სურთ მშვიდობიან ცხოვრებას დაუბრუნდნენ. მიტავაში მომხდარ კრებებზე ამ რაზმებმა გადასწყვიტეს ჩამოცილდნენ გერმანიას და თავი დამოუკიდებელ არმიათ გამოაცხადონ. [illegible] დეპარტამენტებს ფიქრობენ; გადასწყვიტეს ძლიერ ჩაიგდონ მიწები ხელში და [illegible] იქვე დასახლდნენ. რიგაში მიღებული ცნობებით ამ ნაწილებს შეუერთდა ლიტვაში მყოფი გერმანიის ჯარი, ასე რომ გერმანიიდან გამოყოფილი ჯარის რიცხვი 400 000 აღწევს. იარაღი და სამხედრო მოწყობილობა მათ იმდენი აქვთ, რომ კარგა ხანს ეყოფათ. ხმები დადის, რომ აღმოსავლეთ პრუსიაში არის კიდევ 60,000 ისეთივე ჯარის კაცი, რომელთაც ბალტელებთან შეერთება სურთ. უმაღლესი სამხედრო სარდლობა ჯარის მხარეზეა.

ფინეთის გაზეთები „ნოვაია როსია"-ს ცნობებს გადმოგვცემენ, რომ გენერალმა ჰოლცმა რუსეთის ქვეშევრდომობა და [illegible] მიიღო. ლაპარაკობენ, რომ მას და პოლკოვნიკ ბერმონტს მჭიდრო კავშირი აქვთ. ცხადია გერმანელთა ჯარი ლატვიაში სხვა მიზნისთვის არის, რადგან მარტო ერთი ლატვიისთვის ბევრი არიან.

დეპეშები

(საქ. დეპეშ. სააგენტო)

ენკენისთვის 12.

ბოლშევიკური ცნობები

მოსკოვი, ენკ. 11. [illegible] ბიულეტენი.

ფინეთის დამფუძნებელ კრებაში.

ჰელსინგფორსი, ენკ. 6. გუშინდელ დამფუძნებელ კრების სხდომაზე შინაგან საქმეთა მინისტრმა [illegible] განაცხადა, რომ პროფესიონალური კავშირები [illegible] თავის მოქმედებას გააგრძელებენ, მარტო [illegible] უნდა დაიხუროს. კავშირების კომიტეტი ახალ კრების მოწვევამდე [illegible] კავშირების კრება არჩევს ახალ ცენტრალურ კომიტეტს.

პარტიიდან გასვლა.

კოპენჰაგენი, ენკ. 2. პარიზიდან იტყობინებიან, რომ [illegible] სოციალისტური პარტიის წევრი [illegible] და [illegible] პარტიიდან გავიდნენ. პარტიიდან გასვლას ისინი ასაბუთებენ მით, რომ გაერთიანებული სოციალისტური პარტია რუსეთის ბოლშევიზმის გამომხატველია.

გერმანიის მხრით აღმოსავლეთში.

ველიკიე ლუკი, ენკ. 7. [illegible] კონფერენციაზე განაცხადა, რომ ვერსალის ხელშეკრულების [illegible] გერმანიას [illegible] ჯარი აღმოსავლეთში [illegible] ახლა გერმანელებს ჰყავს 75,000 ჯარის კაცი. მოკავშირეთა [illegible] 300.000 [illegible].

მოსკოვი, 11 სექ. **ჩრდილოეთის ფრონტი.** სასტიკი ბრძოლის შემდეგ ჩვენ [illegible] დვინის ორივე ნაპირებზე წამოვიყვანეთ ტყვეები, რომელთა შორის ინგლისელებიც არიან.

დასავლეთის ფრონტი: მტრის შემოტევის გამო ჩვენმა ნაწილებმა 15 ვერსით ლუგის ჩრდილო აღმოსავლეთით დაიხიეს. ჩვენი ჯარი ბრძოლით გამოვიდა 30 ვერსზე გდოვის სამხრეთ აღმოსავლეთით. კრესლავკასთან ჩვენმა ნაწილებმა წინ წაიწიეს, ბრძოლით გამოვიდნენ მდ. [illegible], მაგრამ შემდეგ [illegible] შეიქნა დვინის მარჯვენა ნაპირისკენ. [illegible] ბობრუისკის მიმართულებით ჩვენმა ჯარმა [illegible] მტერი ბერეზინის აღმოსავლეთ ნაპირიდან მდინარე [illegible] ხაზზე. [illegible] გრძელდება.

სამხრეთის ფრონტი: რომნის მიმართულებით ჩვენმა ჯარმა [illegible] შეტევა და დაიჭირა [illegible] სად. და [illegible] **ბახმაჩი.** კონოტოპის აღმოსავლეთით ჩვენ ხელთ იგდო 2 ტყვიის მფრქვეველი, ვინტოვკები, ბევრი ტყვია, ყუმბარები და [illegible]. [illegible] მიმართულებით ჩვენ ომით დავიპყარით სად. და სოფ. [illegible].

[illegible] მხარეში ჩვენი ნაწილები [illegible] სამხრეთით 15 ვერსზე ბრძოლას აწარმოებენ.

ოსკოლის მხარეში ჩვენი ნაწილები [illegible] ოსკოლის აღმოსავლეთით.

ვალუიკის რაიონში ჩვენმა ჯარმა ვალუიკი დასტოვა, იბრძვის მანდროვკასთან 15 ვერსზე ვალუიკის ჩრდილო-აღმოსავლეთით.

კალაჩის მიმართულებით ჩვენმა ჯარმა [illegible] სამხრეთით 10 ვერსით წინ წაიწია.

№-ის არმიის შტაბი. ენკ. 9. [illegible] მიმართულებით მტრის ჯარისკაცების დიდი რიცხვი ჩვენს მხარეზე გადმოდის. ასე 8 ენკ. ჩვენ მხარეზე გადმოვიდა 1500 ყაზახი იარაღით. 10 ენკ. ამავე მიმართულებით წითელმა ჯარმა მტერზე თავდასხმა მოახდინა და 2000 ტყვე წამოიყვანა.

№-ის არმიის შტაბი. ენკ. 9. ციმბირის თეთრ გვარდიელებში [illegible] და პანიკა. კოლჩაკმა, ყაზახთა ციმბირის ჯარის კრებაზე განაცხადა, რომ ციმბირი ბოლშევიკების წინსვლის გამო განიცდის მძიმე წუთებს. ომსკის ქალაქის საბჭოს სხდომაზე წევრებმა აღნიშნეს, რომ ქალაქში [illegible], მათ განაცხადეს, რომ [illegible] ხალხი გულცივად ეპყრობა.

ლატვიაში

მოსკოვი, ენკ. 11. რიგის გაზეთ „სოციალ-დემოკრატ"-ის ცნობით, ლატვია ამ ჟამად ძლიერ მძიმე დღეებს განიცდის. მიტავაში გერმანელთა ჯარის ნაწილებმა ლატვიელთა რაზმებს იარაღი აჰყარეს. [illegible] იარაღი დააბრუნოს, მაგრამ მიტავიდან ლატვიელთა ჯარი [illegible], რადგან გერმანიის ნაწილები ლატვიის მთავრობის წინააღმდეგ, რომელსაც მოკავშირეები მხარს უჭერენ, ამხედრებულნი არიან. ლატვიის მთავრობამ გადასწყვიტა ლატვიელთა ჯარი არ გაიყვანოს; ამის გამო გერმანელთა ნაწილების [illegible]. მიტავასა და რიგას შორის რკინის გზით მიმოსვლა შეწყვეტილია.

მღელვარება საარის ოლქში.

[illegible], ენკ. 10. საარის ოლქში მუშათა კლასის მღელვარება ძლიერდება: მაღაროს მუშები მოითხოვენ, რომ [illegible] შესახებ [illegible] განსაკუთრებით [illegible]. იწვევს ის, რომ ფრანგები ყველგან ყიდულობენ სახლებს და მიწებს და [illegible] მუშათა ბინებს, რომლებიც მუშებისთვის დიდ [illegible].

სამხედრო წესების მოხსნა ტრანსილვანიაში.

ლიონი, ენკ. 10. რუმინიის მთავრობამ ტრანსილვანიაში სამხედრო წესები მოხსნა.

ვილსონის სიტყვა.

ლიონი, ენკ. 10. პრეზიდენტმა ვილსონმა [illegible] სიტყვა წარმოსთქვა, რომელშიაც განსაკუთრებით შეეხო ქვეყნის ფინანსიური მდგომარეობის საკითხს. მან განაცხადა, რომ [illegible] სამხედრო [illegible]. ამ მხრივ ამერიკის ფინანსიური მდგომარეობა უფრო დამაკმაყოფილებელია. შეერთებული შტატები ერთად ერთი სახელმწიფოა, რომელსაც აქვს თავისუფალი კაპიტალი, რომ მთელი ქვეყნის მრეწველობას [illegible] ფინანსიური დახმარება გაუწიოს.

ბოლშევიკები თავის ფრონტის შესახებ

ქვემო ხოპერზე ჩვენმა ჯარმა მტრის მოწოლის გამო მდინარის აღმოსავლეთის ნაპირზე გადავიდა 50 ვერსზე ხოპერის ჩრდილოეთით. უსტ-მედვედიცკის სამხრეთით ჩვენი შეტევა გრძელდება. თურქესტანის ფრონტი. [illegible] მიმართულებით მტერი შეეცადა მიხაილოვსკის ჩრდილოეთით [illegible] სამხრეთ დასავლეთით 80 ვერსზე ჩვენს [illegible] თავს დაესხმოდა, მაგრამ მოგერიებულ იქმნა. ურალის რაიონში მდ. ურალის მარჯვენა ნაპირზე [illegible] რაიონში ლბიშჩენსკის ჩრდილოეთით ჩვენმა ჯარმა შეუტია და განდევნა მტერი ჩრდილო-აღმოსავლეთის მიმართულებით. მტერს წაართვეს ორი ზარბაზანი და ერთი ჯავშანი. მდ. ურალის მარცხენა ნაპირზე მტრის ცხენოსანმა ნაწილმა სცადა შემოტევა აწარმოებინა [illegible] სამხრეთ რაიონში ურალსკის სამხრეთ აღმოსავლეთით 20 ვერსზე, მაგრამ უკუ ქცეულ იქნა. აქტიუბინსკის რაიონში ჩვენ დაგვნებდა მტრის სამხრეთ არმიის დაშლილი ნაწილი 20.000 კაცამდე იარაღით, არტილერიით, ლაზარეთებით, ხაზინით და სახელოსნოებით. ამ რაიონში დაგვნებდა სულ 45.000 ჯარის კაცი. ტაშკენტის ჯგუფი: ჩვენმა ნაწილებმა, რომლებმაც ტაშკენტის რკინის გზის სადგურს „არალის ზღვას" თავს დაესხა, ბრძოლით დაიჭირა სად. საქსაულსკის. მტრის პირველი თურქესტანის პოლკი, რომელიც სადგური ეჭირა, 12.000 კაცით ჩვენს მხარეზე გადმოვიდა. ამ რაიონში ჩვენსკენ გადმოვიდა მთელი შემადგენლობით 42 ტროიცკის პოლკი, 12.00 კაცით, რკინის გზის ბატალიონი და ტელეგრაფის როტა, მთელ ტექნიკურ მოწყობილებით. აღმოსავლეთის ფრონტიდან ცნობა არ მოსულა.

რუსი ტყვეები ინგლისში

ჰელსინგფორსი, ენკ. 8. ენკენისთვის 7 გაზეთი „რუსკაია ჟიზნ"-ს „ტაიმს"-იდან მოჰყავს შენიშვნა: წარსულ კვირაში ჩერჩილმა თემთა პალატაში განმარტება გააკეთა იმ დაპატიმრების შესახებ, რომელიც ნიუმარკეტში რუსეთის სამოსწავლო ბანაკში მოხდა. მან ახსნა, რომ ინგლისში 1200 რუსი ოფიცერი სწავლობს, რომლებიც რუსის ჯარში იმ ინგლისელ ოფიცრების მაგიერ უნდა გაიგზავნოს, რომლებიც რუსეთის ადგილებში ინგლისის [illegible] ქვეშ არიან. ამ ჟამად ნიუმარკეტში 565 ასეთი ოფიცერია. 10 რუსი დაპატიმრებულ იქმნა იმის გამო, რომ ისინი ბოლშევიკურ პროპაგანდას ეწეოდნენ და ბანაკის წესრიგი დაარღვიეს. ჩერჩილმა ახსნა, რომ თითო ოფიცრის შენახვა კვირაში დაახლოვებით 4 გირვანქა სტერლინგი და 5 შილინგი ჯდება. მუშათა პარტიის წევრის ჩარლზ ედვარდის შეკითხვაზე, აქვს თუ არა სამხედრო სამინისტროს რწმუნებულება ინგლისის ფული დახარჯოს, რომ თავისივე ხალხთან საბრძოლველად მოამზადოს რუსი ოფიცრები? ჩერჩილმა უპასუხა, რომ ეს რწმუნებულება კაბინეტმა პარლამენტის თანხმობით მისცა. პოლკოვნიკმა ვეჯვუდმა ჰკითხა: მთავრობა ანგარიშს უწევს თუ არა ქვეყნის აზრს? ჩერჩილმა უპასუხა, რომ მთავრობას შეუძლია ქვეყნის აზრის შესახებ იმსჯელოს იმდენად, რამდენათ ამ კითხვას მომცემს.

მცხოვრებთა თხოვნა ინგლისელებისადმი.

მოსკოვი. ენკ. 11. [illegible] და ქალაქის თათბირზე, რომელიც [illegible] ჯარის წასვლის გამო, [illegible] მოკავშირეთა მთავრობების მიმართ, [illegible] ევედრებიან, არ დასტოვონ [illegible]. თეთრი [illegible], სოლოვეცკის მონასტრის ბერები ევედრებიან ინგლისის ეპისკოპოსს და კენტერბერის არხიეპისკოპოსს მხარი დაუჭირონ მათ და სთხოვონ ინგლისის მეფეს, რომ ინგლისის ზარბაზნები და ტყვიის მფრქვეველები არ იქნას გატანილი არხანგელსკიდან, და ინგლისის სოკუპაციო რაზმები არ იქნან დაბრუნებული სამშობლოში.

ფულის გადაგზავნის აკრძალვა.

მოსკოვი სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებით, ყველა დაწესებულებებს და კერძო პირთ, რომლებიც რ. ს. ფ. ს. რესპუბლიკაში იმყოფებიან, ეკრძალებათ ყოველი მიზეზის გარეშე და ყოველგვარად ფულის გადმოგზავნა მტრის სახელმწიფოში ან იმ ადგილებში, რომელიც რ. ს. ფ. რესპუბლიკას ეკუთვნოდა, მაგრამ მტერმა დაიჭირა.

გაფიცვები ინგლისში.

მოსკოვი, ენკ. 11. სიძვირე, ნახშირის უქონლობა, უმუშევრობა, გაფიცვები, ნაციონალიზაციის მოთხოვნილება და მუშათა კონტროლის დაარსება — აი რის გარშემო თავმოყრილი ევროპის და ამერიკის პრესის ყურადღება. სიძვირე, ნახშირი და გაფიცვები ევროპაში და ამერიკაში რევოლუციონური მოძრაობის მთავარი მიზეზია. ინგლისის მთავრობის გაზეთი „ტაიმს"-ი სწერს: ინგლისში ერთი გაფიცვა სრულდება, მეორე იწყება. ჩვენ გაფიცვების ხაზზე ვართ. ზრდა გაფიცვათა სტიქიისა და ზრდა საერთო გაფიცვებისა — აი შინაარსი [illegible] მომენტის არა მარტო ინგლისში, არამედ მთელ ევროპასა და ამერიკაში.

შეტაკებანი ამერიკაში.

მოსკოვი. ამერიკის სხვა და სხვა ადგილებიდან ცნობები მოდის შავკანიანთა და თეთრების შეტაკების შესახებ. ჩიკაგოში ნამდვილი ბრძოლაა. თეთრი „პოგრომჩიკების" ბრბოებმა შავკანიანებით დასახლებული უბნის 41 სახლი გადასწვეს.

მოხელეთა [illegible]

ნოვგოროდი. ენკ. 9. [illegible] სათო კომისარი და მისი [illegible] პურზე და სხვა სურსათზე სპეკულიაციისა და სიყალბის ჩადენის გამო დააპატიმრეს. აღმოაჩნდა ბოროტ-მოქმედთა მთელი ორგანიზაცია.

ყაზახების სიმკაცრე

ბალაშოვი. ენკ. 9. სად. ურუპინსკაის დატოვების დროს ყაზახებმა 60 ებრაელი დახვრიტეს, ყველა დახვრეტილები თითქმის მუშები და მოსამსახურეები არიან.

ბოლშევიკები არხანგელსკის გუბერნიაში.

შენკურსკი. ენკ. 9. ონეგიდან მოსული არხანგელსკის გუბ. აღმ. კომიტეტის წევრი გადმოგვცემს მე-5 ჩრდილოეთის პოლკის გმირული ბრძოლის შესახებ.

ყაზახთა სულიერი განწყობილება.

კამიშინი. ენკენ. 9. მცხოვრებთა სიტყვით, ყაზახების სულიერი განწყობილება რევოლუციონურია. კამიშინიდან წასვლის დროს ყაზახებმა განაცხადეს, რომ მიდიან შინ და წითელების წინააღმდეგ აღარ იბრძოლებენ. ისინი შემთხვევას უცდიან, რომ წითელი ჯარის მხარეზე გადმოვიდნენ. უმეტესობა ოფიცრობას არ ემორჩილება.

პუანკარე ბორდოში

პუანკარე ბორდოში გაემგზავრა, რომ დაესწროს ძეგლის საფუძვლის ჩაყრას, რომელიც ამერიკის ჯარის საფრანგეთში გადმოსხმის სამარადისო სამახსოვროთ გახდის.

პატარა ფელეტონი

ყურ-მოკრული საუბარი.

სულ დალპეს, „პაჩინკას" არ გაუკეთებ სახლსა! — აღელვებული ეუბნებოდა ერთი შუა ხნის მოქალაქე მეორეს — დიდ, დაინგრეს, მიწასთან გასწორდეს და ხელს კი არ ვახლებ! გიჟიც ვიქნები, ორი ათას — სამი ათასები დავხარჯო და ხვალ სოციალიზაცია — რეკვიზიცია მოუხდინონ! სახლი რო ჩემი აღარ არის, ვისთვის ვიზრუნო?

— კაცო, — უპასუხებს მეორე — ამაზე ცეცხლი და ნავთი იქნება, რომ [illegible] არ იცოდეს, რაში დაახარჯოს ფული?! თაყინაანთ ფაფასეებ ერთ დღეს ხო ვერ შეჭამ?! ან შვილებისთვის არ უნდა ვიზრუნო, ან სამკურო სასიცოცხლო არ მინდა? ბანკში დასდებ — მშვიდობით! სახლში შენახავ — ერთ დღეს გაგპარავ ჰკიდენ! ან რა უნდა შეინახო — ეგ ჩუჩქ!?

— სახლს იყიდი და ჩემსთანა ცეცხლში ჩავარდები! არა, კაპიკანი ქინძიც კი მხოლოდ გახდა და მე უფლება არა მაქვს, რომ ჩემ მდგმურებს ქირა მოუმატო?! მა რითი ვიცხოვრო კაცო, რითი?! გამიკითხე?! ყაჩაღად გავვარდე?

— [illegible], შენ ეს მითხარი: რა განსხვავებაა ბოლშევიკ-მენშევიკებ შუა?!

— არაფერი! ისინი „კონტრიბუციას" იძახიან, ესენი — „ერთ დროულ გადასახადს". ისინი — სოციალიზაციას, ესენი „რეკვიზიციას", „ჩამორთმევას" და სხვა ჯანაბას! განსხვავება ეს არის, რომ ისინი თავის „სროლით" გვინგრიან საქმეს, ესენი კი იმდენ ძალას გატანენ, რომ „[illegible]", შენი „სროლით" წაბრძანდე!

— თუ ძმა ხარ, გიგო, ეგ ალაგი გამირიგე რაც უნდა იყვეს კლუბის „სტორშინა" ხარ — მომიხერხებ?!

— კაცო, რას ბოდავ, რაებს არახუნებ?! ოთხი წელიწადი სხვის ეჭვის ომობდი, სხვისთვის ღვრიდი სისხლსა, ოქროს ხმალი და გიორგის ჯვარი დაიმსახურე, იგრე ახალგაზრდამ თითქმის პოლკოვნიკობას მიაღწიე და ახლა შვეიცარათ და ლაქიათ აპირებ კლუბში შესვლას?! მაგისთვის დაასრულე კადეტსკი კორპუსი და „ვოენი უჩილიშჩე", მაგისთვის იღწოდი აკადემიაში?! (მწარეთ) „ლაქია"! „შვეიცარი"!

— ნეტავი კი მიმიღონ და ყველა სალამს არ მივცემ, ჩემ თავს დიდ ბედნიერად ჩავთვლი! გავძლებ მაინც, ჩემ ცოლშვილს შიმშილისაგან ნაცრისფრად მაინც აღარ დავინახავ!

— რათა, როცა შეგეძლო, ქართულ ჯარში შეხვიდე?

— სოციალისტობის ეგზამენი ვერ დავიჭირე!

— სოფელში აღარა გაბადია რა, „ნორმა" ხო იცი?

— სახლ-კარში და ვენახში სულ შვიდი დესეტინა მომიზომეს და იმაშიაც ისე აღრმავებინეს გლეხებს რევოლუცია, რომ აღარც სახლი მაქვს, აღარც ვენახი და ცხოველი გაპარტახებული ალაგია... არა, ძმაო, მე, როგორც ვატყობ, სირცხვილსთანა და

სიბრიყვისთანა კარგი იარაღი ეხლანდელ დროში არაფერია! რა უთხრა მამაჩემს, რომ „საპონიკად“ არ გამომიყვანა და სწავლა მომცა, მე შვილებს განათლებას აღარ ვაძლევ: სუყველანი სკოლებიდან გამოვიყვანე და ვაჟები დურგლებად და მექალაბნეებად გამოვყავ!, ქალები „პრაჩკებად“ და „კუხარკებად“! რათა, როცა იგრე უფრო მიაღწევენ მინისტრების ალაგებს!

— არა, კაკილო, ტყუილად ნუ იხუჯები! ჩემი გაბრუშკა არ მოუკვდის თავის დედასა, რომ ათი ათას თუმანს ფეხს არ მოუქცევლით! შენ იქნება ჩემი შვილი უბრალო ვინმე გგონია?! ეჰ, დამიდგეს თვალები, ქა! პარტიის კაცაა, ნამდვილი კამისარია!

— იმ ქალის ბიძაც წითელ გვარდიაში მსახურობს, შენ იმას რაღა ჩვარში ჰკრავ! ვაი დედასა, რა დღეს მოვესწარით! ათიათას თუმნებს წინად დოხტურ-ადვოკანტებიც ვერ იღებდნენ ცა..

რაო, რაო, რაო?! დოხტურ-ადვოკანტები ჩემ შვილსა სჯობიან?!

— რაც უნდა იყვეს, იმათ უნივერსიტეტები მაინც გაუთავებიათ. შენ შვილს კი დიახამც გაეთავებინოს სამი კლასი, ა...ახა, მეტი კი არა? გახიე დი გაფხრიწე! რა დიდი გულითა ხარ, რა ძიენ იჭმები და იფხრიწები!

— თუ ჩემ შვილს სამი კლასის მეტი არ გაუთავებია, ი შენი „კურსისტკები“ თავზე კი არ გადაახტნენ! ეგ დრო წავიდა, მოკვდა, როცა სწავლას უყურებდნენ! ეხლა „ბურჟუობა“ და „სტარი რეჟიმი“ აღარ არი, - ეხლა დემოკრატობაა!

— რა აქვს შენ შვილს ჯამაგირი?

— საქმე ჯამაგირია? ჯამაგირი რა სახსენებელია იმის საშოვარიან! ეს იცოდე, რომ ჩვენ რძალს თავის დღეში არც ტანისამოსი დააკლდებ, არც საჭმელი, არც სასმელი, არც ტკბილი, არც მწარე... ჩვენი საკუჭნაო „სკლადი“ გეგონება: ბოჭკებით ყველი, შაქარი, ერბო... სხვას ჩაისთვის შაქარი ენატრება, ჩვენ ფუთობით ფურაზებს ვაკეთებთ, იცი, თუ არა?!

ან—დონატი

ნარევი

ბურჟუა—ცხენი.

„ვეჩ. ვრემია“-ში დაბეჭდილია ერთი ამბავი, რომელიც ამტკიცებს ბოლშევიკების სრულ წვრილმანობას და კრეტინიზმს.

„სიმბირსკში სადგურზე დაჰხვრიტეს განთქმული ცხენი აფანასიევის „კრეპიში“. ეს ცხენი მთელ რუსეთში პირველი იყო სირბილში. 1 ნახ. ვერსი მან 2 წუთში გაირბინა. მეორეჯერ 3 ვერსი 4 წუთში. ჯერ ეს რეკორდი არც ერთ ცხენს დაუძლევია. შეჯიბრებებზე ცხენს აღებული ჰქონდა 350.000 მანეთი ჯილდო.

ბოლშევიკებმა ცხენი დაჰხვრიტეს „ბურჟუაზიულობისათვის“.

ამაზე შორს ჯერ ბოლშევიკების კრეტინიზმი არ წასულა.

მარია კარმი

კვირას, ენკენისთვის 14-ს ქართულ კლუბის შენობაში იმართება საღამო ქართულ დრამატიულ საზოგადოების სასარგებლოდ. სხვა საინტერესო ნომრებთა შორის განცხადება გვაუწყებს რომ დადგმული იქნება „ტერეზრაკენ“ ფილმი ემილ ზოლას რომანიდან. ეს ფილმი დაიდგა მსახიობთა მუზეუმისთვის რომლისთვის ითამაშეს სარა ბერნარმა და სხ. „ტერეზ რაკენ“ ითამაშა ჯიაცინტა პეცანამ განთქმულ იტალიელ მსახიობ იტალიელ ქალმა, რომელიც დღეს 75 წ. ამ ფილმში მონაწ. იღებს ქვეყნიერობაზე ცნობილი მსახიობი ქალი მარია კარმი, რომელიც 14 ენკენისთვეს თვითონ დაესწრება ზემოხსენებულ საღამოს.

მარია კარმი!.. რომელსაც ისეთი ბედი ეწვია, რომ მთელ ქვეყნიერებაზე გაეთქვა სახელი ამ ფსევდონიმის მატარებელი არის გრაციით და ეშხით სავსე ქნეინა მაჩაბლისა, ჩვენი რესპუბლიკის ელჩისა ბერლინში თავად გიორგი მაჩაბლისა.

მარია კარმი ეს ორი კვირაა რაც საქართველოს ეწვია და დრამატიულ საზოგადოების თავმჯდომარემ თავად ნიკოლოზ ერისთავმა სთხოვა თუ არა ამ საღამოში მონაწილეობა მიეღო, ქ. მარია კარმი იმ წამსვე დათანხმდა და ამ თანხმობაში იმდენი სიყვარული გამოიხატებოდა საქართველოსადმი, რომ შეჰშურდებოდა ყოველსავე გულწრფელ პატრიოტს.

მარია კარმი არ არის პროფესიონალი მსახიობი. მარია კარმმა ითამაშა მხოლოდ სამი ფილმი, პირველი ფილმი ითამაშა 1913 წ. სრულიად შემთხვევით და ისე მშვენიერად, რომ სინემატოგრაფის კომპანიამ „სენესმა“ ყოველივე ღონე იხმარა ჩაეწერა ეს სცენის მოყვარე განთქმულ მსახიობთა სიაში.

— მიყვარს სცენა, გვითხრა ქ. მარია კარმიმ, ნამეტნავად კი სინემატოგრაფის სცენა, რადგან იქ, როდესაც ვთამაშობ და ვქმნი როლებს ათასი ადამიანი არ შემომცქერის. მიყვარს სინემატოგრაფი იმიტომ, მინამ ეს ხელოვნება ან გადაიქცევა ხელმეფულის მოსაგებ მანქანად, მოედება ქვეყნიერებას, და არ ათამაშებენ ყველა თეატრში, სადაც კი რამდენისამე მანეთად ვისაც არა მგონია, შეუძლიან ჩემი ნახვაც და ეს „ვისაც არა მგონია, შეუძლიან ჩემი ნახვა“ ისეთი კილოთი სთქვა, ისეთი სიმპატიური და მომხიბლავი ღიმილით მოეფინა სახე, რომ აშკარათ სჩანდა ამ ღიმილში ის საუნჯე, რომელსაც მდაბიო ენაზე ვეძახით გულკეთილობას.

— დიდხანს აპირებთ აქ დარჩენას:

— შევეკითხეთ ჩვენ.— ორ კვირას, მოგვიგო მარია კარმიმ- შემდეგ რომში გავემგზავრები, იქიდან მალე დავბრუნდები საქართველოში, რომ აქ ვითამაშო „სონეს“ კომპანიისთვის ფილმი საქართველოს ცხოვრებიდან, ამ ფილმს ექმნება პროპაგანდიული მნიშვნელობა, რადგან იგი იქნება ისტორიული, ფილმს სწერს ცნობილი დრამატურგი ნ. შიუკაშვილი და დასდგამს ქართულ დრამატიულ სტუდიის მთავარი რეჟისორი გიორგი ჯაბადარი.

№

კულტურული დღესასწაული სოფლად

დაბრუნდა ქ. თბილისს ლატარიის საგანგებო კომისია, რომელმაც მოვლო გურია. პირველ ქართულ კინემატოგრაფიულ სურათებით: „ბათუმის კონფერენცია“, „დამფუძნებელ კრების გახსნა“, „გვარდიის დღე“, „დამოუკიდებლობის წლის თავი“ და ქრისტენე“. კომისიას ჰქონდა საბარგო ავტომობილი „ძენც“-ზედ ელექტრონის სადგური, საჭირო ბენზინი, ზეთი, აპარატი და სხვა საჭირო ნივთი. მოიარა: ლანჩხუთი, სუფსა, ოზურგეთი, ლიხაური, შემოქმედი, დვაბზუ, ბახვი, ხიდისთავი და ჩოხატაური; იქიდან საჯავახოს ან რკინის გზით სამტრედიამდე ჩამოვიდა და გადავიდა ხონს, სადაც მისცა ორი სეანსი. ხონიდან ქუთაისს გადავიდა და აპირებდა იმერეთის სოფლების მოვლას, მაგრამ, საუბედუროდ, გუბის წყალში ისე დაზიანდა ავტომობილის უკანა ბორბლების რეზინები, რომ მის გამოსაცვლელად საჭირო შეიქმნა თბილისს დაბრუნება.

საზოგადოება ყველგან მრავლად ესწრებოდა სეანსებს და მის სიამოვნებას საზღვარი არ ჰქონდა. ბედნიერი იყვნენ ჯარის, მთავრობის, დედაქალაქ თბილისის, ელექტრონის სინათლის და, საზოგადოდ, ტეხნიკის და მეცნიერების საკუთარ თვალით ხილვით.

ბევრმა საზოგადოებამ სთხოვა კომისიას ელექტრონის სადგურის შეძენაში დახმარების აღმოჩენა.

სეანსების დროს პოეტ გ. ქუჩიშვილს თვისი მოხდენილ ლექსებით აღტაცებაში მოჰყავდა საზოგადოება.

რად წაართვეს თავისუფლება?

(წერილი რედ. მიმართ)

ბევრი უწერიათ სასურსათო საბჭოზე; უფრო ბევრს ლაპარაკობენ მის მოღვაწეობაზე, მაგრამ ის, რაც მე უნდა ვაცნობო რესპუბლიკის მოქალაქეთ, აღემატება ყველას, რაც დღემდის იწერებოდა და ითქმულა ამ დაწესებულებაზე.

წინდაწინვე ვიცი, რომ მრავალი მათგანი, რომელსაც თავი დემოკრატიის ინტერესების დამცველად მოაქვს, მიწოდებს მე კონტრრევოლიუციონერს, მაგრამ მე მაინც გადავწყვიტე ხმა ავიმაღლო პრესაში, საჯაროდ, რადგანაც ძალა აღარ შემწევს გავჩუმდე. „დემოკრატიის მცველებს“ კი ვეტყვი: მე თქვენ ბრალდებას დავამტკიცებ ფაქტებით და ციფრებით; გაიმართლეთ თავი ფაქტებითა და ციფრებითვე, და არა ძალადობით, რადგანაც ძალადობა დამტკიცებაა უძლურობისა.

ყოველ შემთხვევაში, ჩემს დასწყვდევას ყოველთვის მოასწრობთ წარსულ წლის ზაფხულს, საქართველოს ლაშქრის მომარაგების გამგეობის უფროსს საინტენდანტო განყოფილებაში მივეცი თხოვნა, რათა ნება დაერთოთ ჩემთვის რესპუბლიკის ჯარებისთვის ხორცის კონსერვები მიმეწოდებინა. ჩემი განცხადება განიხილა სპეციალურ კომისიის ორმა სხდომამ, მაგრამ შემდეგ კონსერვის დამზადების საქმე ჩემს განცხადებასთან ერთად სასურსათო საბჭოს გადაეცა.

სასურსათო საბჭოსთან იყო დაფუძნებული სპეციალი კომისია, რომელშიც შევიდნენ. 1) ს. საბჭოს ორი წარმომადგენელი, 2) ორი წარმომადგენელი სამხედრო უწყებიდან, 3) მთავრობის წარმომადგენელი, 4) სახ. კონტროლის წარმომადგენელი და წარმომადგენელი გერმანულ სარდლობისა.

კომისიამ შეიმუშავა კონტრაქტის პირობები და კონტრაქტის პროექტის შემუშავება მიანდო სასურსათო საბჭოს წარმომადგენელს ბ. კალევიეიტს.

უკანასკნელმა შეადგინა პროექტი, რომელიც შემდეგში დამტკიცებულ იყო სასურსათო სამინისტროს რწმუნებულის ბ. ასათიანის მიერ, სხვათა შორის ამ უკანასკნელმა ხაზინის სასარგებლოდ კონტრაქტიდან შეპირებულ ჯამიდან ასი ათასი მანეთი გადათვალა. კონტრაქტზე ხელი მოწერილ იქმნა 24 მარიამობისთვეს 1918 წელს. ჩემი მოვალეობა იყო 6 თვის განმავლობაში დამემზადებინა 6 00,000 კონსერვი; სასურსათო საბჭო ვალდებული იყო ჩემთვის მიეცა შემდეგი: 1) თეთრი თუნუქი 10000 ფუთი 16 მანეთად ფუთი. 2) 2500 ფუთი მარილი 5 მანეთის კვალობაზე და 500 ფუთი ლეროსმანი ღირებულ ფასში და ნაღდ ანგარიშით.

უსათუოდ საჭიროა აქ მოვიხსენიოთ, რომ 6000,000 კონსერვისათვის საჭიროა მაქსიმუმი: თუნუქი 4500, მარილი 500 და ლეროსმანი 100 ფუთი. სას. საბჭო შემდეგ მოვალე იყო ყოველნაირი დახმარება აღმოეჩინა საჭირო საგნების შოვნასა და მათ მოზიდვაში.

მე მაშინვე შევუდექი საქმეს, და მხოლოდ ქარხნის გასაფართოებლად 3000.000 მან. გავიღე. მაგრამ სას. საბჭომ არა თუ რაიმე დახმარება აღმომიჩინა, პირიქით ყოველ ჩემს წერილობით განცხადებებს ღრმა დუმილით ეგებებოდა

სასურსათო საბჭოში არ გამოჩნდა ერთი კაცი, რომელსაც შეეძლებოდა გაეგო, რომ კონსერვის ქარხანა სახელმწიფოსთვის მეტად დიდ ღირებულებას წარმოადგენს და რომ ხორცის კონსერვების მზადებით დაინტერესებულია როგორც ჯარი ისე გვარდია, რომელნიც იცავენ ჩვენს რესპუბლიკას. ს. საბჭოდან არავინ იცოდა, რომ რადგანაც რესპუბლიკას ირგვლივ მტერი ახვევია იგი უნდა მომზადებული იყოს ყოველნაირად და უპირველესად სურსათით უზრუნველყოფილი განათლებულ ქვეყნებში სასურსათო საქმეს სათავეში უდგანან საუკეთესო პირები, ჩვენს სასურ. საბჭოში კი არის ისეთი ხალხი, რომე საც არ მოსდევს არც ცოდნა, არც გამოცდილება და რაც ყველაზე ცუდია, მათ არ აქვთ სურვილი სწავლისა და მუშაობის. სიბუქე და უგონო მათი დამოკიდებულება საქმესთან აკვირვებს ადამიანს; შეცდომა და საქმის წაგება არაფერს შათ არ ასწავლის.

სამაგიეროდ მათი ჰონორი გასაკვირველია და უსაზღვროდ მათ მოთხოვნილებას აღემატება. ძალა-უფლება მათ აბარიათ, ბორანში ჰხვევს. ისინი ხმაურობენ, ყვირიან და ყოველ თავის საქმეს სთვლიან დემოკრატიულად. სიტყვა „დემოკრატიას“ ისინი იხსენიებენ სულ ამაოდ; მათ გასთელეს ეს კეთილშობილური სიტყვა, და როგორც, ოდესღაც გოგოლის დროს „ცხენად აქციეს კაცი კეთილშობილი“

მე არ მინდა ვიყო ხმერი, არცა მაქვს ნება ვილაპარაკო დაუმტკიცებლად როგორც ამას ჩვენი მესურსათენი სჩადიან. უწინარეს სხვამ შევეხებოდე ჩემს მიერ აღებულ კონსერვების დამზადების საქმეს, მე რამოდენიმე მაგალითს მოვიყვან სასურ. საბჭოს მოღვაწეობიდან.

1) სასურსათო საბჭო სოლოღაშვილის პირით ერბოს ყიდულობს ფუთს 320 მ. მაშინ, როცა მასთან ერთდროულად, კოოპერატივთა კავშირი დარჩიას პირით ფუთს ყიდულობს 280 მანეთად თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ ნაყიდია რამოდენიმე ათასეული ფუთი ერბო, დავინახავთ, რომ დემოკრატიამ სოლოღაშვილი, არ მინდა „ზორრომშვილდ“, კომისიონის წყალობით მილიონები დაკარგა.

2) ბ.ბ. სოლოღაშვილი და დარჩია ყიდულობენ შაბიაბანს: პირველი ფუთში აძლევს 500 მან. მეორე კი —400 მანეთს.. და აქაც მილიონები დემოკრატიის სპეკულიანტების ჯიბეში გადადის. რას იტყვიან ამ ოპერაციის შესახებ ბ.ბ. სოლოღაშვილი და ცაბაძე და სხვანი მესვეურნი დემოკრატიისა?

შაბიაბნის საკითხი საგულისხმოა არა მარტო მისი შეძენის მომენტით, რომელთაც მე ქვემოდ შევეხები.

3) ბ. სოლოღაშვილი მოლაპარაკებას აწარმოებდა მეთამბაქოეებთან თამბაქოს შესახებ; მოლაპარაკება გათავდა; მორიგდნენ ფასში—325 მ. ფუთი; ბ. სოლოღაშვილმა ბრძანება გასცა შეედგინათ ხელშეკრულობა და მასთან წარედგინათ ხელის მოსაწერად. შავი უკვე შედგენილი იყო მის მიერ. ყველაფერი მზად იყო მაგრამ. საბჭოს ერთ ერთ წევრთაგანმა პროტესტი გამოაცხადა—განაცხადა რა, რომ თამბაქოს ფასი ბაზარზე არის 280 მან. მოიწვიეს სოლოღაშვილი და საქმის გარემოება აუწყეს მ. სოლოღაშვილი მაშინვე მეზობელ ოთახში გავიდა, სადაც კონტრაგენტები ელოდნენ, ილაპარაკა მათთან, და მათ იმ წუთშივე დაუთმეს 25 მანეთი ფუთზე, საქმე მაინც ხურინანად ვერ ჩაიარა ერთი წევრის ცხარე პროტესტის გამო, რომელიც ნათლად ჰხედავდა თუ ეს ხელშეკრულობა რა ზარალს მოუტანდა ხაზინას.

ამრიგად, ხაზინა მხოლოდ შემთხვევით გადარჩა რამდენიმე მილიონის დაკარგვას

და ეს ისევ არის შედეგი სოლოღაშვილის სიბუქისა და უჭკუო ქცევისა.

4) მაისში ბ. სოლოღაშვილი ბათუმში ყიდულობს ვაგონ შაქარს და ბედ აძლევს ასი-ათას მანეთს იმ პირობით, რომ თუ დარჩენილი ფულიც დროზე არ წარედგინა, საბჭო ჰკარგავს ასი-ათას მანეთს.

სოლოღაშვილმა ეს ვადაც გაუშო ხელიდან, ის უბრალოდ ივიწყებს ამაზედ და ასი-ათას მანეთი შემთხვევით იქმნა გადარჩენილი პრეზიდიუმის ერთი წევრისაგან.

ამგვარ დავიწყებისათვის ღებულებაში იჯდებიან, მაგრამ ბ. სოლოღაშვილი გამოძიებასა და სამართალში არ მიეცემა, 6 დღემდე შეუწყვეტლად ზის თავის მაღალ და მეტად გამოსადეგარ ადგილზე.

სასურს. საბჭოს ყველა შემადგენლობის მოღვაწეობიდან მრავალი ფაქტის მოყვანა შეიძლებოდა, მაგრამ ზემოდ მოყვანილიც საკმაოა, იმის დასამტკიცებლად, რომ სასურ. საბჭომ მილიონებით ზარალი მიაყენა დემოკრატიას, რომლის სახელით ის ასე ხშირად და უცერემონიოდ ვაჭრობს.

ეს არ არის კრიტიკა საბჭოს მოღვაწეობის: ეს არის ბრალდება ბოროტმოქმედებაში ხაზინის ზარალისთვის.

გადავდივარ კონსერვების შემზადების საქმეზე.

24 მარიამობისთვეს კონტრაქტი იქმნა ხელმოწერილი. მოვალე ვიყავ პირველი პარტია 4 ღვინობისთვეს ჩამებარებინა. კონსერვები რომ დროზე შემემზადებინა საბჭოდან უნდა დროზედ მიმეღო თუნუქი, მარილი და ლეროსმანი.

ყოველ დღე შევდიოდი საბჭოში, მაგრამ არავითარ პასუხს არ იძლეოდნენ. მე მგზავნიდნენ პონტოელ პილატედან. მხოლოდ 21 ღვინობისთვეს მივიღე თუნუქი, მარილის ნაწილი მივიღე 10 მარტს, როცა კონტრაქტის ვადა გათავებული იყო კიდეც, ხოლო ლეროსმანი დღემდის ვერ მიმიღია მიუხედავად ჩემი წერილობითი თუ სიტყვიერ შუამდგომლობის. მე არ ვიცი, კითხულობდა თუ არა სასურ. საბჭო ჩემს განცხადებებს, ვიცი მხოლოდ, რომ პასუხს არ მაძლევენ. მე ვუხსნიდი, რომ არ შემიძლიან კონტრაქტის პირობების შესრულება თუ საბჭო თავის მოვალეობებს არ შეასრულებს. 25 მარიამობისთვიდან 22 თებერვალამდე მე ვცვეთამდი სასურსათო საბჭოს გზებსა, მაგრამ ერთი კაცი მაინც არ გამოჩნდა, რომ ყურადღება მიექცია ჩემს კანონიერ განცხადებებზე. ხოლო არმია და გვარდია რჩებოდა უკონსერვოდ.

საბჭოს არ უნდოდა გაეგო, რომ დიდი სახელმწიფოებრივი საქმე უყურადღებოდ რჩებოდა. 24 თებერვალს გათავდა კონტრაქტის ვადა. სასურ. საბჭოს შემადგენლობა შეიცვალა. ახლებმა ძველი კურსი ჩაიბარეს.

ბ. ბ. სოლოღაშვილი და ცაბაძე აღმოჩნდნენ ისეთი უზრდელები როგორც მისი წინაპრები, არც ცოდნა, არც გამოცდილება, არც მუშაობის სურვილი. მაგრამ სოლოღაშვილებს აქვთ ერთი თვისება: ისინი დიდად და ხმამაღლა ყვირიან თავიანთ დემოკრატიულობაზე, დემოკრატიაზე და მის ინტერესებზე.

არა ნაკლებ თხოვნით შევაჯერე ახალი საბჭო რომ ჩვენი დამოკიდებულებანი მოეწესრიგებინა, მაგრამ ახალი საბჭოც უფრო მდუმარე გამოდგა. მე კი ქარხანაზე მილიონზე მეტი დავხარჯე; მარტო მისი გაფართოება დამიჯდა 300000 მანეთზე მეტი. ეს ერთადერთი ქარხანაა ამიერ-კავკასიაში; მასში მზადდება კონსერვები ხორცისა, ხილისა. მწვანილეულისა, ყოველ ჯურის მურაბა, ხილის წვენი და სხ. მას შეუძლიან დღე ღამეში 20 ათას კონსერვამდე მომზადება. ქარხანას სახელმწიფოსთვის დიდი სამსახურის გაწევა შეუძლიან; მაგრამ დემოკრატიის მესვეურებმა ეს ვერ გაიგეს და ვერც შეაფასეს.

მაისის გასულს, როცა სასურ. საბჭომ გაიგო თვისი შეცდომის დიადობა სახელმწიფოს წინაშე თავისი ცოდვების შიშით მე მომეკარა ჯავრის საყროლად.

და რომ თავი ეჩვენებინათ ხაზინის ინტერესების სწორუპოვარ დამცველად დამიწყეს უკანონოდ დევნა.

და დაიწყეს თავსტეხა ერთი კუთხიდან მეორეში.

1) თიბათვის პირველ რიცხვებში ბ. ცაბაძემ მე 6-ე კომისარიატის კომისარს განცხადება მისცა, რომლითაც ბრალსა მდებდა 4 მილიონად ღირებულ თუნუქის მოპარვაში. სხვათა შორის დაჟინებით მოითხოვდა ჩემს დაპატიმრებას და ჩემი საკუთარი საწყობების დალუქვას.

კომისარიატს წარუდგინე დაწვრილებითი ჩვენება და წარუდგინე საბუთები, საიდანაც სჩანს, რომ თუნუქი, რომლის მოპარვასაც ბ. ცაბაძე მაბრალებდა, დებულების 940 მუხ. მეკუთვნის მე კანონიერ საკუთრებად, რომ „თუნუქის ღირებულება თანახმად 7 კონტრაქტის № 1593-ით, 100,000 მანეთიან თანხით შეტანილია. კონტრაგენტით, ე. ი. ჩემგან სახელმწიფო ბანკში № 2659 ის ბარათით. ამრიგად ბ. ცაბაძე ბრალსა მდებს ჩემივე საკუთარ თუნუქის მოპარვაში, რომელიც მე ვიყიდე ბ. ცაბაძისაგან და რომლის ღირებულებაც სახელმწიფო ხაზინაში შევიტანე. ეს ანეგდოტი არ არის; ეს ფაქტია.

კომისარიატმა საქმე გამომძიებელს გადუგზავნა, რომელმაც, რასაკვირველია, შესაძლებლად ვერ ჩასთვალა შესდგომოდა გამოძიებას და საქმე ს. ს. 309 მუხლით პროკურორს გაუგზავნა. ასე სასაცილოდ დასრულდა სასურსათო კომიტეტის პირველი გამოსვლა ჩემს წინაამდეგ.

(დასასრული იქნება).

წერილი ზემო სვანეთიდან

ზემო სვანეთში იყვნენ წარმომადგენელნი საქართველოს მენშევიკებისა.

პირველად ისინი შეეკითხენ ხალხს იარაღის აყრას. ამაზე ხალხმა უპასუხა: „თქვენმა აფიცრებმა და სალდათებმა ცეჰაუზები გატეხეს, გამოიტანეს იარაღი და დაჰყიდეს. ჩვენ არ მიგვიღია მონაწილეობა ცეჰაუზების გატეხაში და არ გამოგვიტანია და არც მოგვიპარავს იარაღი. ჩვენ რაც იარაღი გვაქვს სულ ნაყიდი გვაქვს და ნაყიდიც ძვირად. ჩვენ შეიარაღებული წინეთაც ყოველთვის ვიყავით და ახლა უფროც უნდა ვიყვეთ, რადგან კანონი არ არის და გაბატონებულია ძალმომრეობა, როგორც შიგ სვანეთში ისე ჩვენ გარშემო მცხოვრებ ხალხში, რომლებიც ყოველთვის მზად არიან დაგვეცონ, ასეთი არიან თერქის და ყუბანის ოლქებში მცხოვრებნი მთიულები: ოსები, ჩაჩნები, ქისტები და ინგუშები, რომლებიც გარს გვარტყიან. ამიტომ ჩვენ იარაღს არ ავიყრით“.

შემდეგ ამ საკითხის ასე გადაწყვეტისა მენშევიკების წარმომადგენელნი შეუდგენ ხალხში ქადაგს და იწვევდნენ ხალხს კენჭი მიეცათ პირველ ნომრისთვის ათ მარიამობისთვისთვის დანიშნულ დამფუძნებელ კრების არჩევნებზე.

ამაზე ხალხმა ყველგან ერთ ხმათ უპასუხა: „ვინც პირველ ნომერს საქართველოში ხმა მისცა გამადლიერებათ?!

ჩვენ როგორც გვესმის თქვენს დიქტატურას ჩვენში ადგილი არ აქვს. თქვენ ხომ იცით რომ ჩვენ ვართ თავისუფალი სვანები—მუდამ თავისუფლების მოტრფიალე. ყველგან იყო მეფობა, ყველგან იყო ბატონ-ყმობა და ჩვენში არასოდეს არ ყოფილა. და ნუ თუ დღეს ჩავთვალოთ თქვენ ასეთ სულელად, რომ თქვენს დიქტატურას დავემონოთ?!!

ჩვენში სიმდიდრეს შეადგენს ტყეები, საბალახო და სანადირო მთები და იქ ნადირობა და მასთან განუყრელი იარაღი. და თქვენ უნდა კენჭი მოგცეთ, რომ ამ ჩვენს სიამაყეს და სიმდიდრეს თქვენ დაპატრონოთ, და მერე ჩვენ უკან გდიოთ მოწყალებისთვის! ამას სვანის თავმოყვარეობა ვერ აიტანს! არ გეკადრებათ ასეთი თავხედობა და მოგვშორდით“.

ამის შემდეგ მართლაც მოგვშორდნენ და კენჭის ყუთი სვანეთში არ დადგმულა.

მაგრამ საქართველოს შეგნებულმა საზოგადოებამ არ იფიქროს რომ ამითი ჩვენ საქართველოსთან ერთათ არ ვიყოთ. ჩვენ „თავისუფალი სვანეთი“ პირველი ღვიძლი შვილი ვართ საქართველოს ერისა და ყოველთვის ერთად ვიქნებით საქართველოსთან.

ჩვენ ვიცნობთ საქართველოს ერის სავარგისო შვილს „ნიკო ნიკოლაძეს“, და ჩვენ მასთან ერთათ ყოველთვის მზათ ვართ ვემსახუროთ საქართველოს.

მოხუცი სვანი.

მიმოსვლა
სახალხო მატარებლებისა
ს. ს. რკ. გზ

გადის თბილისიდან.

ფოთში	№ 21	ღამ.	12 ს. 5 წ.
ქუთაისში	№ 10 9	სად.	8 ს. 7 წ.
ბათომში	№ 5	სად.	5 ს. 4 წ.
ფოთში	№ 3	დილ.	9 ს. 56 წ.
ბათომში	№ 1	ღამ.	11 ს. 30 წ.

მოდის თბილისში

ბათომიდან	№ 2	დილ.	7 ს. —
ფოთიდან	№ 4	სად	8 ს. 45 წ.
ბათუმიდან	№ 6	შუად.	12 ს. 10 წ.
ქუთაისიდან	№ 11,12	დილ.	9 ს. 30 წ.
ფოთიდან	N. 22	დილ.	6 ს. 06 წ.

თბილისი-სადახლო

გადის სადახლოში

№ 8	საღამოს	6 ს. 5 წ.
№ 6	შუადღის	2 ს. 32 წ.
№ 4	საღამოს	9 ს. 50 წ.

მოდის სადახლოდან.

№ 3	დილის	7 ს. 27 წ.
№ 5	ნაშუად.	3 ს. 5 წ.
№ 7	დილის	11 ს. 52 წ.

თბილისი-ქსანი გორი-ბორჯომი.

გადის

№ 63	შუადღის	2 ს. 40 წ.
№ 61	დილის	7 ს. 52 წ.
№ 19,20	შუად.	3 ს. 26 წ.

მოდის:

№ 19,20	დილ.	6 ს. 30 წ.
№ 62	დილ.	11 ს. 24 წ.
№ 64	სად.	8 ს. 4 წ.

თბილისი-ხაშური

გადის:

№ 4,3 ს. შუად, 1 ს. 40 წ.

მოდის:

№ 4,3 ს. დილ. 11 ს. 30 წ.

შენიშვნა 1. მ. მ. №№ 21 და 22 დანიშნულება არის სამგზავრო სწრაფის გადასაზიდები და მალე წასახდენი საქონლის.

შენიშვნა 2. მ. მ. №№ 61, 62, 63 64 იმოძრავებენ თბილისსა, ქსნისა და გორის შუა: 1 წყვილი ივლის უქმე და კვირა დღეებში, 2 წყვილი უქმე და უქმის წინადღეებში.

საქიმიო კაბინეტი
ექ. კ. ტუშმალიშვილისა
მიიღებიან: ვენერიული, კანის, სიფილ. და სხვა გვარ სნეულებანი ❧ ავათმყოფები სასქესო და საშარდე ორგანოთა (606 და 914 წამლობა) მიხეილის საავადმყოფოსთან, ფოსტის ახლოს პლეხანოვის (№ 55) და ბელგიის (№ 1) ქუჩების კუთხე საღამოს 6—7 ნახევარ
საათ 25—2536—1

ბ. ბ. მეგრაბიანცი
შინაგანი ავადმყოფობა, ფილტვისა და გულისა. იღებს ახალ რენტგენო-ელექტრო-წამლობის კაბინეტში, გასინჯვა და წამლობა X სხივებით დიდი სოლენოიდით და [illegible] ფილტვების, გულის და სხვა შინაგანი ავადმყოფობისათვის. ღარიბებს უფასოთ. ყოველ დღე დილის 9—1 საათამდე და საღამოს 5—8 საათამდე ბებუთოვის ქ. № 23, ტელეფონი [illegible]
7-92.

სამკურნალო კაბინეტი ექიმის
[illegible]
[illegible]
იღებს კანის, ვენერიულის და სიფილისით ავადმყოფებს (914-ი და 606 შეშხაპუნება). ავადმყოფთა მიღება დილის 10 საათ. 11 საათ. და საღამოს საათ 6 საათ. მიხეილის პროსპექტი № 11ა, სასტუმრო „ნორდ“ს პირდაპირ
ტელეფონი 14—28.

სამხედრო სამინისტროს სტამბა, [illegible] ქუჩა № 3.